



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო
დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური
სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქტორი აქსელ
ბოეტციხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო
დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარე,
პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური
სასამართლოს ყოფილი ვიცე
პრეზიდენტი, დოქტორი
ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქტორი
დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მოსამართლე,
პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი
(თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

სტატიები

დანაშაულის განვითარების სტადიები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში (II ნაწილი)

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, საქართველოს უნივერსიტეტი / პროფესორი, სამართლის დოქ. *ბერნდ ჰაინრიხი*, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი

1

კიპერდანაშაული – ანგუო და მომავალი

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

13

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდების პროცესში

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, დოქტორანტი, *იზა კელენჯერიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23

სხვადასხვა

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის მეორე პროექტის საზაფხულო სკოლის ანგარიში, სექტემბერი, 2017 წელი (ბათუმი, საქართველო)

სამეცნიერო თანამშრომლები *ნინო კუცია*, საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისი) / *პაულ ანდრეას გლატცი*, იანის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი

28



სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეჯიის
თავმჯდომარე ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანეკე პეტცე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
საზღვარგარეთისა და სართაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩეანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მოსამართლე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის 2018 წლის პირველი გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ. ქეთევან
მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M. (ფრაიბურგი)
თამარი ასათიანი LL.M. (პასაუ)
დავით ჩიხლაძე LL.M. (ბერლინი)
ლადო სირდაძე

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ასისტენტი-პროფ. სამართლის დოქ.
თემურ ცქიტიშვილი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა
სამართლის ასესორი მარიო შუტცე

2018 წლის პირველ გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი ანრი
ოხანაშვილი LL.M. (იენა)

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

დანაშაულის განვითარების სტადიები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში (II ნაწილი)**

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, საქართველოს უნივერსიტეტი / პროფესორი, სამართლის დოქ. *ბერნდ ჰაინრიხი*, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი

V. დანაშაულის ფორმალური დამთავრება

შემდგომ სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან მომენტად დანაშაულის დამთავრება უნდა დავასახელოთ.¹ დანაშაულის დამთავრებაში იგულისხმება ის მომენტი, როდესაც კანონიერი შემადგენლობის ნიშნები ფორმალურად განხორციელებულია. აქაც კლასიკური მაგალითი უნდა მოვიყვანოთ, რომელიც გერმანიაში კარგა ხანია, დისკუსიის საგანია.²

მაგალითი 6: პირმა ძეხვის ერთი ქილა ჯიბეში ჩაიდო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სალაროში ფული არ უნდა გადაეხადა. ამ დროს მას მაღაზიის პატრონი აკვირდებოდა და მან პირი დააკავა. ასე რომ, პირმა ძეხვის წაღება ვერ შეძლო.

1. გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის³ §242 ქურდობის შემადგენლობა მითვისების მიზნით უცხო მოძრავი ნივთის დაუფლებას მოითხოვს.⁴ დაუფლება მაშინაა სახეზე, როდესაც ნივთ-

* მოცემული სტატია წარმოადგენს DGStZ-ის 2017 წლის მესამე გამოცემის 62-ე და მომდევნო გვერდებზე გამოქვეყნებული სტატიის გაგრძელებას.

** სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრმა, ასოცირებულმა პროფესორმა, სამართლის დოქტორმა *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხმა*.

¹ შედრ. *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 5. Aufl., 2016, Rn. 707; *Kühl, Kristian*, *Juristische Schulung (JuS)* 1982, 110.

² შდრ., ასევე კაზუსი *Bergmann, Marcus*, *Juristische Arbeitsblätter (JA)* 2008, 504.

³ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

⁴ გერმანიის სსკ §242 I მიხედვით, „ვინც სხვის მოძრავ ნივთს დაუფლება იმ მიზნით, რომ ეს ნივთი მან თვითონ მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთროს ან მესამე პირს მიასაკუთროს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან ჯარიმით.“

ზე სხვისი ფაქტობრივი ბატონობა დასრულებულია და ახალი ბატონობაა დამკვიდრებული. გაბატონებული მოსაზრებით, მაღაზიაში ქურდობისას ნივთზე ახალი ფაქტობრივი ბატონობა უკვე მაშინაა სახეზე, როდესაც პირი პატარა ნივთს (მაგ., ძეხვის ქილას) თაროდან აიღებს და პალტოს ჯიბეში ჩაიდებს. დასახელებულ შემთხვევაში ქურდობა ძეხვის ქილის პალტოს ჯიბეში ჩადებით უკვე დასრულებულია, რადგან პირმა ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი განახორციელა. ეს იმ შემთხვევებსაც ეხება, როდესაც პირს ამ მოქმედებისას ვინმე აკვირდება (გერმანიაში ქურდობა ფარული დელიქტი არაა!) და ამის გამო მას ნადავლით გაცევის შანსი არა აქვს,⁵ რადგან გერმანიის სსკ §242, რა თქმა უნდა, „ნადავლის საიმედოდ გადამალვას“ არ მოითხოვს.

დელიქტის მცდელობის და მისი დამთავრების ეს გამიჯვნა რამდენიმე მიმართებითაა მნიშვნელოვანი: ერთი მხრივ, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა გადამწყვეტია სასჯელის სიმძიმისათვის, რადგან გერმანული სისხლის სამართალი გერმანიის სსკ §23 II-ში მცდელობისათვის სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას ითვალისწინებს: მოსამართლეს შეუძლია (მაგრამ არაა ვალდებული) მცდელობისას მსუბუქი სასჯელი დანიშნოს. ზოგჯერ მცდელობისა და დასრულებული დანაშაულის გამიჯვნით, ანუ ეს მაშინ, როდესაც რაიმე დელიქტის მცდელობა დასჯადი არაა, თავად დასჯადობის და დაუსჯელობის საკითხი წყდება, რადგან გადაცდომისას, ე. ი. ნაკლებად მძიმე დანაშაულებისას (გერმანიის სსკ §12 II), მცდელობა დასჯადია არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მცდელობის დასჯადობას პირდა-

⁵ *Arzt, Gunther/Weber, Ulrich/Heinrich, Bernd/Hilgendorf, Eric*, *Strafrecht Besonderer Teil*, 3. Aufl., 2015, § 13 Rn. 58; *Eisele, Jörg*, *Strafrecht Besonderer Teil*, Band 2, 3. Aufl., 2015, Rn. 50; *Rengier, Rudolf*, *Strafrecht Besonderer Teil*, Band 1, 18. Aufl., 2016, § 2 Rn. 49.

პირ ითვალისწინებს. ეს დათქმა ყველა დანაშაულს არ ეხება. მაგალითად, ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა (გერმანიის სსკ §123), ნდობის ბოროტად გამოყენება (გერმანიის სსკ §266), მოხელის მიერ ქრთამის აღება (გერმანიის სსკ §331) და შეურაცხყოფა (გერმანიის სსკ §185) მცდელობის დასჯადობას არ იცნობს.

მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის გამიჯვნა გადამწყვეტია მაშინაც, როდესაც ამსრულებელი მოგვიანებით, სამართლებრივი სიკეთის საბოლოო ხელყოფამდე მოვლენის განვითარებას შეცვლის, რადგან ნებაყოფლობით ხელის აღება გერმანიის სსკ §24 მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ მცდელობისას და არა დამთავრებული დანაშაულისას. წინა მაგალითთან მიმართებაში ეს ნიშნავს შემდეგს: საკითხავი იქნება, მაინც დაისჯება თუ არა პირი, რომელმაც მალაზიაში ძეხვის ქილა პალტოს ჯიბეში ჩაიდო, თუ მას, სალაროსკენ მიმავალს, სინდისი დაჰქენჯნის, პალტოს ჯიბიდან ძეხვის ქილას ამოიღებს და ნებაყოფლობით თაროზე დადებს. აქ თავისთავად კლასიკური ნებაყოფლობით ხელის აღებაა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ მცდელობაა სახეზე. მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ დაუფლება და ამითი ქურდობა უკვე დამთავრებულია, მაშინ ხელის აღება უკვე აღარ იქნება შესაძლებელი. ქილის უკან დადება ამსრულებელს „ალარაფერს მოუტანს“ (მხოლოდ სასჯელის დანიშნისას შეიძლება იყოს გათვალისწინებული). მან, ქილის ნებაყოფლობითი დაბრუნების მიუხედავად დანაშაული მაინც ჩაიდინა.

ამ კონტექსტში მოკლედ უნდა აღინიშნოს ის, რომ გამონაკლის შემთხვევებში დასრულებულ დანაშაულზე „ხელის აღება“ და სასჯელისაგან გათავისუფლებაც შესაძლებელია. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით ამ ქცევას ხელის აღებას კი არა, ქმედით მონაწილას უწოდებენ. ამგვარი ქმედითი მონაწილეობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც კონკრეტულ დელიქტთან მიმართებაში კანონში პირდაპირაა მითითებული. მაშინ, როდესაც ნებაყოფლობით ხელის აღება გერმანიის სსკ §24 მიხედვით, როგორც ზოგადი ნაწილის რეგულაცია, ყველა დანაშაულზე ვრცელდება, ქმედითი მონაწილესათვის ცალკეული შესაბამისი დებულებაა საჭირო. ძირითადად ეს იმ დელიქტებთან გვხვდება, რომლებიც, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფამდელი შემადგენლობები განსაზღვრული

სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას კი არ სჯიან, არამედ უკვე საფრთხეში ჩაყენებას (ე. ი. მხოლოდ აბსტრაქტულ ან კონკრეტული საფრთხის დელიქტებში). თუ ამსრულებელი თავდაპირველი საფრთხის მიუხედავად, ბოლოს თავიდან აიცილებს შედეგს, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად საჭირო აღარაა, კანონმდებელი ზოგიერთ შემთხვევაში ქმედითი მონაწილეს გზით სასჯელის ფაქულტატურ ან აუცილებელ შემსუბუქებას ან სასჯელისაგან სრულ გათავისუფლებას ითვალისწინებს.

მაგალითი 7: პირს თავისი მეზობლის საცხოვრებელი სახლისთვის ცეცხლის წაქიდება სურს. იგი ღამე მეზობლის სარდაფში შეიპარება, ამ მიზნით თან მოტანილ ბენზინით გაჟღენთილ ჩვარს ცეცხლს წაუქიდებს და მას დააგდებს ხის ყუთზე, რომელსაც მაშინვე ცეცხლი წაეკიდება. ამის მერე იგი მეზობლის სახლს დატოვებს. ცოტა ხნის შემდეგ პირს სინდისი დაჰქენჯნის. როდესაც იგი უკან დაბრუნდება, ხის ყუთი და სარდაფის კარი უკვე ინვის. ეს ხის კარის ჩარჩოსთან მიმართებაში გერმანიის სსკ §306 მიხედვით შემადგენლობის შესრულებისათვის უკვე საკმარისია.⁶ მოტანილი ცეცხლმაქრობით პირი ამჯერად ხანძარს ისე აქრობს, რომ სხვა ზიანი არ დგება. ამსრულებელს აქ გერმანიის სსკ §306 მიხედვით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ცეცხლის წაქიდების მცდელობაზე ხელის აღება არ შეუძლია, რადგან დამამძიმებელ გარემოებაში ცეცხლის წაქიდება უკვე იმ მომენტისათვისა დასრულებული, როდესაც ხის კარის ჩარჩოს ცეცხლი წაეკიდა. დასრულებულ დელიქტზე ხელის აღება კი შეუძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლებელია გერმანიის სსკ §306 ე-ს რეგულაციის გამოყენება ქმედითი მონაწილეს შესახებ, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს შეუძლია სასჯელი არ დანიშნოს, თუ ამსრულებელი ცეცხლს მნიშვნელოვანი ზიანის დადგომამდე ნებაყოფლობით ჩააქრობს. თუმცა ქმედითი მონაწილეობა აქ მხოლოდ ცეცხლის წაქიდების შემთხვევებს მოიცავს და არა გერმანიის სსკ §303 მიხედვით ხის ყუთის და ხის კარის ჩარჩოს დაზიანებას, რადგან გერმანიის სსკ §303-თან დაკავშირებით ქმედითი მონაწილეობა გათვალისწინებული არაა.

⁶ Eisele, Jörg, Strafrecht Besonderer Teil, Band 1, 3. Aufl., 2014, Rn. 1048.

2. ქართული სამართლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილი (ქურდობა)⁷ მოიცავს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ფარულობა ქურდობის დამფუძნებელი ნიშანია, ამასთან გადამწყვეტია ამსრულებლის შეხედულება ფარულობაზე და არა ქმედების განხორციელების ფაქტიური ფარულობა. დაუფლება სამეცნიერო ლიტერატურასა და მყარი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით დასრულებულია მაშინ, როდესაც პირი ფაქტიურად ბატონობს ნივთზე და მას ამ საგნის თავისი შეხედულებისამებრ განკარგვის რეალური შესაძლებლობა აქვს.⁸ ამისათვის ამსრულებელმა ნადავლი ადრინდელი მფლობელის სფეროდან უნდა ამოიღოს და ნივთის თავისი სურვილის შესაბამისად განკარგვის რეალური შესაძლებლობა მოიპოვოს, ადრინდელ მფლობელს კი ამ ნივთზე წვდომა აღარ უნდა ჰქონდეს.⁹ ამასთან არა აქვს მნიშვნელობა იმას, ნივთი პატარაა თუ უზარმაზარი (წმინდა სახის აბლაციის თეორია).

თუ ამსრულებელი მაღაზიაში თაროდან ძეხვის ქილას აიღებს და ჯიბეში ჩაიდებს, ქურდობა ქართულ სისხლის სამართალში (საქართველოს სსკ 177 პირველი ნაწილი) ჯერ არაა დამთავრებული, რადგან იგი ნივთს ჯერ არ დაუფლებია. დანაშაული დამთავრებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მესაკუთრის მსგავსად, ამ ძეხვის თავისუფლად განკარგვა, მისი შეჭმა ან გაჩუქება და სხვ. შეუძლია.¹⁰ სინანულით შეპყრობილი ძეხვის მპა-

რავი ამიტომაც ქმედებაზე ნებაყოფლობით ხელს აიღებს, თუ იგი სალაროს მონაკვეთის გავლამდე ძეხვის ქილას უკან დადებს.

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის სასჯელის შემსუბუქებას ქართული სისხლის სამართალი 2006 წლიდან აღარ ითვალისწინებს¹¹. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუმთავრებელი დანაშაული ისევე შეიძლება დაისაჯოს, როგორც დამთავრებული. თუმცა საქართველოს სსკ 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა სასჯელის შესამსუბუქებლად ან დასამძიმებლად გაითვალისწინოს.¹² მეორე მხრივ, დანაშაულის მცდელობა ქართულ სისხლის სამართალში ყოველთვის დასჯადია. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ასევე საქართველოს სსკ 21-ე მუხლის პირველი ნაწილით მხოლოდ დაუმთავრებელი (მომზადება ან მცდელობა) და არა დამთავრებული დანაშაულის დროსაა შესაძლებელი.

ქართული სისხლის სამართალი იცნობს ასევე ქმედითი მონანიების, დანაშაულის ფორმალური დამთავრების შემდეგ „სასჯელისაგან განმათავისუფლებელი ხელის აღების“ ცნებას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში და ქმედით მონანიებას ზოგად ნაწილში კონკრეტულად მითითებული წინაპირობების არსებობისას (გერმანიის სსკ 68-ე მუხლის I ნაწილი). ამ მუხლის მიხედვით პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვე-

⁷ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ქურდობა არის „სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე, 5, 2006, 198, 201; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე, 5, 2006, 206, 209; *ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, მე-6 გამოცემა, 2016 წელი, გვ. 418.

⁹ ნივთის დაუფლების სხვაგვარი გაგება იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, ნიგნში: *ტურავა, მერაბ/მამულაშვილი, გოჩა/ებრაღიძე, თამარ/თოდუა, ნონა/ბაქანიძე, რუსუდან*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბილისი 2004, გვ. 10-11.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე, 5, 2006, 198, 201.

¹¹ ქურდობის ძირითადი შემადგენლობა (სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილი) ნაკლებად მძიმე დანაშაულია და მისი მომზადება არაა დასჯადი, რადგან იგი სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში სპეციალურად არაა გათვალისწინებული.

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სწორი პრაქტიკით დანაშაულის მცდელობა არ შეიძლება ისე დაისაჯოს, როგორც დამთავრებული დანაშაული. უზენაესი სასამართლო 2009 წლის 9 იანვრის #1049-აპ გადაწყვეტილებაში ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებაში სასჯელთან დაკავშირებით ცვლილების შეტანის საფუძველად მიუთითებს იმას, რომ ქვემდგომი სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი იყო უსამართლოდ მკაცრი, ვინაიდან საქმე ეხებოდა არა დამთავრებულ, არამედ დაუმთავრებელ დანაშაულს (გაუპატიურების მცდელობას).

თას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი. ქურდობის ძირითადი შემადგენლობისათვის სასჯელის მაქსიმუმია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე. შესაბამისად, მონანიე ძეხვის ნამლები, საქართველოს სსკ 68-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობებისას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ქმედითი მონანიება ქონებრივ დანაშაულებში კონკრეტულად გათვალისწინებული არაა. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის ეს ნორმა დღეისათვის პრაქტიკაში ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია. კარგი იქნებოდა, თუ სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის და ჰუმანიზაციის დღევანდელი ტენდენციის არსებობისას ამ მუხლს კანონმდებლის მიერ ჩაფიქრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა. სისხლის სამართლის დოგმატიკოსთა შორის ფართოდაა გავრცელებული დავა საქართველოს სსკ 68-ე მუხლის პირველი ნაწილის ბუნებასთან დაკავშირებით, რასაც საფუძვლად სხვებს შორის ისიც უდევს, რომ აღნიშნული ნორმა კოდექსის ზოგად ნაწილშია გათვალისწინებული. ერთი მხრივ, ის, ფაქტობრივად, შეიძლება, შეესაბამებოდეს ქმედითი მონანიების მოწესრიგებას ან, მეორე მხრივ, შეიძლება, წარმოადგენდეს ნაკლებად მძიმე დანაშაულისას პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სპეციალურ სახეს. ეს საკითხი დამოუკიდებელ მსჯელობას საჭიროებს და აქ არ იქნება გავრცობილი.

საინტერესო ჩანს ასევე ცეცხლის ნაკიდების დელიქტისათვის თვალის შევლება: ქართულ სისხლის სამართალში ცეცხლის ნაკიდება სხვისი ნივთის დაზიანების შემადგენლობის კვალიფიკაციად ითვლება და დასჯადია არა თავისთავად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.¹³ საქართველოს სსკ 177-ე მუხ-

ლის შენიშვნის მე-3 ნაწილით, მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ზიანი, რომელიც 150 ლარს (შეესაბამება დაახლოებით 55 ევროს) აჭარბებს. ცეცხლის ნამკიდებლის მაგალითში სინანულით შეპყრობილი ქართველი ცეცხლის ნამკიდებელი ცეცხლის ნაკიდების მცდელობაზე ხელს ცეცხლის ჩაქრობით მაშინ აიღებს (საქართველოს სსკ 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუ იგი ცეცხლის ნაკიდებით მნიშვნელოვან ზიანს არ გამოიწვევს. მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევისას ქმედითი მონანიების ზოგადი ნორმა (გერმანიის სსკ 68-ე მუხლის პირველი ნაწილი) ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში მის მიმართ ვერ ამოქმედდება საქართველოს სსკ 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის სიმკაცრის გამო. ქმედება, რომელსაც მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია, სისხლისსამართლებრივად ნივთის დაზიანება (ჯერ) არაა, ნივთის დაზიანების შემადგენლობა აქ გამორიცხულია და ეს ქმედება მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ჭრილშია მნიშვნელოვანი.

3. შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა

რადგან ქართული სისხლის სამართალი მცდელობის ყოვლისმომცველ დასჯადობას იცნობს, არაა პრობლემატური ის, რომ დანაშაულის დამთავრების მომენტი ხშირად უფრო გვიან ფიქსირდება, ვიდრე გერმანულ სისხლის სამართალში, რაც მაღაზიაში ქურდობის მაგალითშიც აშკარაა. მაგრამ ამას მივყავართ იქამდე, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობებიც ფართოა, რადგან ქართულ სისხლის სამართალში ჯერ კიდევ მცდელობაა მაშინ, როდესაც გერმანულ სისხლის სამართალში ქმედება უკვე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

განსხვავება არსებობს ქმედითი მონანიების თვალსაზრისითაც. გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგადი წესი არ არსებობს. ქმედითი მონანიება სამართლის ამ სისტემაში მხოლოდ კონკრეტულ დელიქტთან მიმართებაში უნდა იქნას გათვალისწინებული. ქართულ სისხლის სამართალში კი ქმედითი მონანიება (მხოლოდ წვრილმანი დანაშა-

¹³ საქართველოს სსკ 187-ე მუხლის (ნივთის დაზიანება ან განადგურება): „1. სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია [დაისჯება...]. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი ცეცხლის ნაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით [დაისჯება...]. 3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი [დაისჯება...]

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა [დაისჯება...].

ულისათვის) გათვალისწინებულია როგორც სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში (სსკ 68-ე მუხლის პირველი ნაწილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილის გამო), ასევე ცალკეულ დელიქტებთან მიმართებაშიც. რა თქმა უნდა, შესაძლებელია სხვადასხვა დელიქტთან მიმართებაში სამართლის ამ ორ სისტემაში სხვადასხვა რეგულაციას შევხვდეთ.

VI. დანაშაულის მატერიალური დამთავრება

უკანასკნელი მნიშვნელოვანი მომენტი ცალკეული დელიქტის მატერიალური დამთავრებაა.¹⁴ დანაშაულის მატერიალურ დამთავრებაში იგულისხმება ის მომენტი, როდესაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა მატერიალურად დასრულებულია, ე. ი. როცა ხატონად რომ ვთქვათ, „ნადავლი გადამაღულია“ და „გვამი გადაგდებული“.¹⁵ ეს მატერიალური დასრულება ხშირად ქრონოლოგიურად დანაშაულის ფორმალურ დამთავრებას მოსდევს¹⁶ და სხვადასხვა დელიქტის დროს სხვადასხვანაირად უნდა შეფასდეს.¹⁷

¹⁴ შდრ. *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 5. Aufl., 2016, Rn. 713 ff.; *Kühl, Kristian*, *Juristische Schulung (JuS)* 1982, 110, 113 f., 189.

¹⁵ შდრ. ამ მომენტზე *Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt)* 27, 342; ასევე კაზუსი *Mitsch, Wolfgang*, *JA* 1997, 655, 657 f.

¹⁶ შდრ. *Freund, Georg*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 2. Aufl., 2009, § 8 Rn. 27; *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 5. Aufl., 1995, § 49 III 3; *Schönke, Adolf/Schröder, Horst/Eser, Albin/Bosch, Nikolaus*, *Strafgesetzbuch*, 29. Aufl., 2014, Vorbem. § 22 R. 4; *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 46. Aufl., 2016, Rn. 840; კრიტიკულად, კანონში გათვალისწინებული მატერიალური დამთავრების მომენტის საკონსტიტუციოსამართლებრივი ლეგიტიმაციისთვის *Gropp, Walter*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 4. Aufl., 2015, § 9 Rn. 9; *Jakobs, Günter*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 2. Aufl., 1991, 25/12; *Kühl, Kristian*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl. 2012, § 14 Rn. 21 ff.; *Zaczyk, Rainer*, *Nomos Kommentar (NK) zum Strafgesetzbuch*, 4. Aufl., 2013, § 22 Rn. 6; აშკარა რესტრიქციული ტენდენციით ასევე *Kühl, Kristian*, *Juristische Schulung (JuS)* 1982, 189, 190.

¹⁷ *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 46. Aufl., 2016, Rn. 841; შდრ. ასევე *Krey, Volker/Esser, Robert*, *Deutsches Strafrecht,*

1. გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა

გერმანიაში დანაშაულის მატერიალურ დამთავრებასთან დაკავშირებით პრობლემები განსაკუთრებით მდგომარეობის დელიქტებთან დაკავშირებით წარმოიშობა.

მაგალითი 6 ა: მეექვსე მაგალითში (მაღაზიაში ძეხვის ქილის მოპარვა) ქურდობა ქილის ჯიბეში ჩადებით უკვე დამთავრებულია, რადგან ამგვარად ნივთს თავდაპირველი მფლობელი აღარ ფლობს და შესაბამისად ნივთის დაუფლება დამთავრებულია. ამითი არაფერია ნათქვამი იმაზე, შეუძლია თუ არა ამსრულებელს მოპარული საქონლის სახლში მშვიდობიანად წაღება და შეჭმა, რადგან ქურდობა შეიძლება ჯერ კიდევ სალაროსთან შეამჩნიონ. შესაძლებელია ასევე შენობის დატოვების შემდეგ პირი მაღაზიის პატრონმა დააკავოს, რომელიც მას უთვალთვალავს, ასე რომ, ქმედების მატერიალურ დასრულებამდე გარკვეული დრო შეიძლება გავიდეს.

ქურდობისა (გერმანიის სსკ §242) და ყაჩაღობის (გერმანიის სსკ §249) მატერიალური დასრულების მომენტად სულ გვიან ნადავლის უსაფრთხოდ გადანახვა ითვლება.¹⁸ დელიქტის განხორციელებისათვის მისი მატერიალური დასრულება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს აღარ ასრულებს, დასჯადობა სრულადაა დაფუძნებული, როდესაც ქმედება **ფორმალურად უკვე დამთავრებულია**. კანონში მოცემულ შემადგენლობაში სპეციალური „მატერიალური დამთავრება“ გათვალისწინებული არაა. მიუხედავად ამისა, დანაშაულის მატერიალურ დამთავრებას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს. გერმანულ სისხლის სამართლის პრაქტიკაში მიჩნეულია, რომ მაკვალიფიცირებული გარემოებები, რომლებიც ქმედების ფორმალურ და მატერიალურ დასრულებას შორის გვხვდება, ფორ-

Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2012, Rn. 1197 f.; *Küper, Wilfried*, *Juristische Schulung (JuS)* 1986, 862, 868 f.

¹⁸ შდრ. *Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt)* 4, 132, 133; *Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt)* 20, 194, 196; *Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt)* 28, 224, 229; *Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NStZ)* 2001, 88, 89; *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 46. Aufl., 2016, Rn. 842; ამასთან დაკავშირებით კრიტიკულად *Kühl, Kristian*, *Juristische Schulung (JuS)* 1982, 189, 190.

მალურად უკვე დამთავრებულ დანაშაულს კვალი-ფიციურ ქმედებად გადააქცევენ.¹⁹

მაგალითი 8: პირი ქუჩაში ქალს ნააქცევს და მას ხელჩანთას წაართმევს, ამგვარად იგი ყაჩაღობას (გერმანიის სსკ §249) განახორციელებს. ამის შემდეგ იგი გაიქცევა, რადგან მას რამდენიმე ადამიანი მისდევს. იგი თავის მანქანასთან მიიბრუნს, სადაც მას პისტოლეტი უდევს. უსაფრთხოების მიზნით პირი პისტოლეტს ავტომატურად უჯრიდან ამოიღებს და გვერდით სავარძელზე დადებს. ამის შემდეგ იგი მანქანით გაქცევას იარაღის გამოუყენებლად შეძლებს. აქ საკითხავია, ამსრულებელმა მარტივ ყაჩაღობასთან ერთად (გერმანიის სსკ §249) ხომ არ ჩაიდინა ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებაში (გერმანიის სსკ §250 პირველი აბზაცის 1ა), რადგან იგი „ყაჩაღობისას“ იარაღს ატარებდა (ე. წ. ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებაში, იარაღით). იქამდე, სანამ ქმედება ნადავლის გადაძალავით, ე. ი. წარმატებული გაქცევის შემდეგ, მატერიალურად დასრულდება, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მაკვალიფიცირებული ნიშნის განხორციელება შესაძლებლად ითვლება.

ეს შეხედულება გერმანულ ლიტერატურაში უმრავლესობის მიერ უარყოფილია²⁰ იმ დასაბუთებით, რომ სასამართლო პრაქტიკა ამგვარად ქმედების შემადგენლობის ეტაპს ფაქტობრივი კრიმინალური აქტის (აქ – ნივთის დაუფლების) მიღმა ავრცელებს, რაც გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულ კანონის გან-

საზღვრულობის პრინციპს ეწინააღმდეგება. მეორე მხრივ, ამ შეხედულებას ხშირად რესტრიქციულად ჩამოყალიბებული შემადგენლობების თანაკვეთამდე მივყავართ, რომლებიც კანონმდებელმა განსაზღვრული, ქმედების შემადგენლობის შემდგომი ქცევებისათვის გაითვალისწინა. მაგალითად, გერმანული სისხლის სამართალი იცნობს გერმანიის სსკ §252, ყაჩაღურ ქურდობას, რომლის მიხედვითაც ქურდობის ამსრულებელი მაშინ დაისჯება, როდესაც იგი გაქცევისას სხვა პირის მიმართ ძალადობას განახორციელებს. ამ წინაპირობას გვერდს ავუვლიდით, თუ ყაჩაღობის და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ყაჩაღობის შემადგენლობა იმ შემთხვევებზე გავრცელდებოდა, როდესაც პირი ქმედების შემდგომ ეტაპზე, გაქცევისას, იარაღს მხოლოდ გასაქცევად გამოიყენებდა (ე. ი. როდესაც იგი ნადავლის დასაცავად არ იმოქმედებდა).

დანაშაულის მატერიალური დამთავრების მომენტი მნიშვნელოვანია სხვა თანამონაწილეებისთვისაც, რომლებიც მხოლოდ ქმედების ფორმალური და მატერიალური დასრულების ეტაპებს შორის მოქმედებენ. ამ სამართლებრივ ფიგურას „სუქციესიურ თანამონაწილეობას“ უწოდებენ.

მაგალითი 9: პირი ქუჩაში გამვლელს დაყაჩაღების მიზნით გონების დაკარგვამდე სცემს. ამსრულებლის მეგობარი მაშინ მივა, როცა გამვლელი მიწაზე აგდია. გონდაკარგულ მსხვერპლს ორივე ერთად გარჩევს და ფულს ამოაცლის. აქ საკითხავია, ყაჩაღობის ფარგლებში განხორციელებული უკვე დასრულებული ძალადობა ძალადობის განხორციელების შემდეგ მისულ მეგობარს შეერაცხება თუ არა.

ამგვარ შემთხვევებში ხშირად ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დამთავრებას შორის გერმანიის სსკ §27 მიხედვით (სუქციესიური) თანამონაწილეობის განხორციელების შესაძლებლობაც. ამას გარდა, საფიქრალია ისიც, რომ აქ დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა, გერმანიის სსკ §257-ის მიხედვით ქმედებით მიღებული უპირატესობის შენარჩუნებაცაა სახეზე, რომლის განხორციელება მხოლოდ „ქმედების შემდეგ“ შეიძლება.²¹

მაგალითი 10: ამსრულებელმა განახორციელა ქურდობა ბინაში შეღწევით და გარბის. ბინის პატ-

¹⁹ Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 20, 194, 197; Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 22, 227, 228 f.; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 1998, 354; *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 46. Aufl., 2016, Rn. 840; შდრ. ასევე Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 38, 295; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 2001, 371 (zu § 251 dStGB).

²⁰ ასევე *Heinrich, Bernd*, Strafrecht Allgemeiner Teil, 5. Aufl., 2016, Rn. 715; *Krey, Volker/Esser, Robert*, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2012, Rn. 1198; *Kühl, Kristian*, Juristische Schulung (JuS) 1982, 189, 191 f.; *Lackner, Karl/Kühl, Kristian*, Strafgesetzbuch, 28. Aufl., 2014, § 244 Rn. 2; *Zaczyk, Rainer*, Nomos Kommentar (NK) zum Strafgesetzbuch, 4. Aufl., 2013, § 22 Rn. 6; *Rengier, Rudolf*, Strafrecht Besonderer Teil, Band 1, 18. Aufl., 2016, § 4 Rn. 48 f.; *Schünemann, Bernd*, Juristische Arbeitsblätter (JA), 1980, 393, 394; ამასთან დაკავშირებით შდრ. ასევე *Gepfert, Klaus*, JURA 1992, 496.

²¹ ამასთან დაკავშირებით შდრ. ასევე *Kühl, Kristian*, Juristische Schulung (JuS) 1982, 189.

რონი მას მისდევს. გაქცევისას ბინის ქურდი შემთხვევით მეგობარს შეხვდება, რომელიც საქმის მდგომარეობას მაშინვე გააცნობიერებს. მეგობარი მდევარს ფეხს დაუდებს, რის გამოც იგი წაიქცევა და დევნას შეწყვეტს. ამის შემდეგ მეგობარი ბინის ქურდს ნადავლიანად მანქანაში ჩაისვამს და წავა. ბინის ქურდი ნადავლს შეინარჩუნებს.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, **მეგობრის სურვილის მიხედვით**, შეიძლება გვექონდეს როგორც დახმარება ქურდობაში (თუ მეგობარს ქურდობის ხელის შეწყობა სურდა), ასევე დახმარება ქმედებით მიღებული უპირატესობის შენარჩუნებაში (თუ მას ჩადენილი ქმედებით მიღებული უპირატესობის დაცვის სურვილი ჰქონდა). დანაშაულის ფორმალურ დასრულებამდე (ე. ი. აქ: ნადავლის დაუფლებამდე) მხოლოდ ქურდობაში დახმარება, ქმედების მატერიალური დასრულების (ე. ი. ნადავლის საიმედოდ გადამალვის) შემდეგ კი მართო ქმედებით მიღებული უპირატესობის შენარჩუნების, გერმანიის სსკ §257 განხორციელებაა შესაძლებელი.²² მეცნიერთა უმეტესობა სხვა აზრს გამოთქვამს და ქურდობაში დახმარებას მხოლოდ ქმედების ფორმალურ დასრულებამდე უშვებს. დანაშაულის ფორმალური დასრულების შემდეგ მხოლოდ ქმედებით მიღებული უპირატესობის შენარჩუნებაა შესაძლებელი. ამ გადწყვეტას ის უპირატესობა აქვს, რომ დახმარების და ქმედებით მიღებული უპირატესობის შენარჩუნების სამართლებრივი ფიგურების შენარჩუნების ნათელი გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევა. დანაშაულის მატერიალურ დასრულებას ამ შეხედულების მიხედვით მნიშვნელობა არ ენიჭება.

ყურადღებაა გასამახვილებელი ასევე იმაზე, რომ დანაშაულის მატერიალურ და ფორმალურ დასრულებას შორის განსხვავება განსაკუთრებით განგრძობად დანაშაულებში ყოველგვარი პრობლემის გარეშეა შესაძლებელი. ასე რომ, თავისუფლების (უკანონო) აღკვეთა (გერმანიის სსკ §239), ფორმალურად უკვე მსხვერპლის ჩაკეტვითაა დამთავრებული, მატერიალურად კი მაშინ, როდესაც ამსრულებელი მსხვერპლს გაათავისუფლებს.²³ ამ მომენტის სამართლებრივ მნიშვნელობას ამ ნორმის კვალიფიციური შემადგენლობა (გერმანიის სსკ

§239 III #1) აჩვენებს, რომელიც თავისუფლების (უკანონო) აღკვეთის ერთ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელებისას მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს. ამდენად, განგრძობადი დანაშაულების დროს დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დამთავრებას შორის მაკვალიფიცირებელი ნიშნების განხორციელება, ასევე მესამე პირთა (თანამსრულებლის ან დამხმარის) სუქცესიური მონაწილეობა ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეიძლება,²⁴ მაგრამ ეს, როგორც უკვე ითქვა, არაპრობლემატურია მხოლოდ განგრძობადი დანაშაულების დროს, გერმანულ სისხლის სამართალში კი მდგომარეობის დელიქტებში ცხარე კამათის საგანია.

ამგვარად, სამეცნიერო შეხედულების მიხედვით, განსხვავებით სასამართლო პრაქტიკისაგან, დანაშაულის მატერიალური დამთავრების მომენტს, სულ მცირე, მდგომარეობის დელიქტებისა გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. ერთადერთი გამონაკლისია აქედან ხანდაზმულობა, რომლის დროსაც კანონმდებელი დანაშაულის მატერიალური დასრულების მომენტს სპეციალურ ფუნქციას ანიჭებს: გერმანიის სსკ §78ა-ს მიხედვით ხანდაზმულობა დანაშაულის **მატერიალური დასრულების** შემდეგ იწყება.²⁵ კანონი აქ დანაშაულის არა ფორმალურ, არამედ მის მატერიალურ დამთავრებას ეყრდნობა.

2. ქართული სამართლებრივი მდგომარეობა

ქართულ სისხლის სამართალში მდგომარეობის დელიქტების შემადგენლობანი ან ფართოდაა ჩამოყალიბებული (შდრ. საქართველოს სსკ 187-ე მუხლი, ნივთის დაზიანება ან განადგურება, რომლის მეორე აზბაცი ასევე სხვისი ნივთის ცეცხლის წაკიდებით დაზიანებას ან განადგურებას მოიცავს) ან სასამართლო პრაქტიკის და ლიტერატურის მიერ ფართოდაა განმარტებული (შდრ. ქურდობა, საქართველოს სსკ 177-ე მუხლი). ქურდობისას ნივთის აღება და მისი საკუთარ სათავსოში გადამალვა

²² Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NStZ) 2008, 152.

²³ Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 20, 227, 228.

²⁴ Krey, Volker/Esner, Robert, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2012, Rn. 963.

²⁵ შესაბამის შემთხვევებზე Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 27, 342; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NStZ) 2001, 650; ამასთან დაკავშირებით ასევე Kühl, Kristian, Juristische Schulung (JuS) 1982, 189, 193.

მხოლოდ მცდელობას აფუძნებს, დამთავრებისათვის კი როგორც ლიტერატურა, ასევე სასამართლო პრაქტიკა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებას მოითხოვს. ქმედება მხოლოდ მაშინაა დამთავრებული, როდესაც პირს ნივთის თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობა აქვს. იქამდე, სანამ ნადავლი ადრინდელი მფლობელის სფეროშია, ქმედება ჯერ არაა დამთავრებული (აბლაციის თეორია). ქმედება მაშინაა დამთავრებული, როდესაც ამსრულებელი მალაზიას მოპარული ნივთით დატოვებს. მართოდენ ნივთის ადგილმდებარეობის შეცვლა (ნივთის საკუთარ ჯიბეში ჩადება, საკუთარ ხელჩანთაში ან ავტომანქანაში ჩადება ან მესაკუთრის სფეროში დამალვა) დამთავრებად კი არა, მცდელობად შეფასდება.²⁶ შესაბამისად, ის, ვინც პირს ნადავლის წაღების შესაძლებლობის შექმნაში ან მის გაადვილებაში დაეხმარება, ქმედების შემადგენლობის განხორციელების შემდეგ კი არა, ქმედების შესრულებისას მოქმედებს. მისი ქმედება ამიტომაც დახმარებად შეფასდება. ქმედებით მიღებული უპირატესობის შენარჩუნებაში დახმარებას, როგორც ქურდობის შემდგომ დასჯად ქმედებას, რომელიც მხოლოდ დანაშაულით მიღებული უპირატესობის დაცვაში გამოიხატება, ქართული სისხლის სამართალი არ იცნობს. უცხო დანაშაულის წინასწარ შეუპირებული დაფარვა, საქართველოს სსკ 375-ე მუხლი სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და განხორციელებულია მაშინ, როდესაც პირი დამნაშავეს სისხლის სამართლის დევნის თავიდან აცილებაში დაეხმარება. ქმედებით მიღებული უპირატესობის შენარჩუნებას აქ მნიშვნელობა არ ენიჭება, ამგვარ ქმედებას (გერმანული სისხლის სამართლის §275-საგან განსხვავებით) სისხლის სამართალი კონკრეტულად არ ითვალისწინებს. თუმცა არსებობს საქართველოს სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 186-ე მუხლით (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექცევა ან გასაღება) დასჯის შესაძლებლობა, რადგან ეს მუხლი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობასაც დასჯადად აცხადებს. ამგვარად საქართველოს სსკ 375-ე მუხლი (დანაშაულის დაფარვა) გერმანულ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას (გერმანიის სსკ §258) შეესაბამება. იგი მოიცავს

მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან ამ მუხლში კონკრეტულად ჩამოთვლილი ნაკლებად მძიმე დანაშაულების დაფარვას (მაგ., საქართველოს სსკ 221-ე მუხლი, კომერციული მოსყიდვა).

საქართველოს სსკ ქურდობის შემადგენლობის ფართო განმარტება (დანაშაულის დამთავრების გვიანი მომენტის გამო) დანაშაულზე ხელის აღებისას მეტად ლმობიერია, „დანაშაულის განხორციელებას მიერთებული“ პირის მიმართ კი მეტად მკაცრია. ქურდობის შემადგენლობის ვიწრო განმარტებისას დანაშაულის დამთავრების ადრეული მომენტით ქმედება მე-10 მაგალითში ბინაში შეღწევით ქურდობის (საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ პუნქტი) დაფარვად (საქართველოს სსკ 375-ე მუხლი²⁷) შეფასდებოდა და პირს მხოლოდ ჯარიმა ან ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დაემუქრებოდა. მაგრამ რადგან „დანაშაულის განხორციელებას მიერთებული“ მეგობარი ქმედების განხორციელებისას მოქმედებს (სადაც დევნისას ბინის ქურდობა დასახელებულ მაგალითში ძარცვად გადაიქცა), მისი ქმედება საქართველოს სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ პუნქტით (ძარცვა ბინაში უკანონო შეღწევით) სუქცესიურ დახმარებად შეფასდება და იგი შესაბამისად მკაცრად დაისჯება (თავისუფლების აღკვეთა სამიდან ხუთ წლამდე).

რადგან ქართულ სისხლის სამართალში ქურდობისას ფორმალური და მატერიალური დამთავრება ერთმანეთთან ძალიან ახლოა, ქურდობის შემთხვევებში დანაშაულის მატერიალური დამთავრების სამართლებრივი ფიგურის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს. დანაშაულის მატერიალური დამთავრების დამოუკიდებელ მომენტს ქართული სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა და დოგმატიკოსთა ნაწილი ამ შემთხვევებში არ იცნობს.²⁸

²⁷ მამულაშვილი, გოჩა, წიგნში: ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-6 გამოცემა, 2016 წელი, გვ. 468-469.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე, 5, 2006, 198, 201; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე, 5, 2006, 206, 209; ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა, წიგნში: ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-6 გამოცემა, 2016 წელი, გვ. 418. განსხვავებული შეხედულება, რომლის მიხედვით

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე, 5, 2006, 198, 201.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანაშაულის მატერიალური დამთავრების სამართლებრივი ინსტიტუტი სოციალისტურ პერიოდში მკაცრად იყო გაკრიტიკებული, მიუხედავად იმისა, რომ განგრძობად დანაშაულებში, ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრისას და საფრთხის დელიქტებში მას თავისი ფუნქცია გააჩნდა. თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მატერიალურ დამთავრებას და მის ფორმალური დამთავრებისაგან განსხვავებას განგრძობად დანაშაულებში გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან როგორც (სუქცესიური) დახმარება, ასევე მაკვალიფიცირებელი ნიშნების შესრულება ქმედების შემადგენლობის შესრულების დაწყების შემდეგაცაა შესაძლებელი. დანაშაულის მატერიალურ დამთავრებას ასევე გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება განგრძობადი დანაშაულების ხანდაზმულობისას, რადგან განგრძობადი დანაშაული, მართალია, ფორმალურად ადრეულადაა დამთავრებული, მაგრამ მატერიალურად მხოლოდ ქმედების ანდა დასჯადი მდგომარეობის შეწყვეტისას არის დამთავრებული (საქართველოს სსკ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი). ამას გარდა, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, დანაშაულის მატერიალური დამთავრების მომენტს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ყაჩაღობისასაც (საქართველოს სსკ 179-ე მუხლი).²⁹

3. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

მართალია, გერმანული სისხლის სამართალი დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დამთავრებას თეორიულად ერთმანეთისაგან გამიჯნავს, მაგრამ ამას სამართლებრივად გადამწყვეტი შედეგი არ მოსდევს. კანონი მატერიალური დამთავრების მომენტს მხოლოდ ხანდაზმულობისას არეგულირებს. სასამართლო პრაქტიკა დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დამთავრებას შორის უშვებს როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშნების შესრულებას, ასევე სუქცესიურ თანამონაწილეობას. ამ განსხვავებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

თაც ქურდობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია და მის ფორმალურ და მატერიალურ დამთავრებას შორის ზღვარი უნდა გაივლოს, იხ. *ცქიტიშვილი, თემურ*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი 2015, გვ. 79.

²⁹ შდრ. ქვემოთ VII 2.

ნელობა ენიჭება ასევე განგრძობადი დანაშაულებისას.

ამის საპირისპიროდ, ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მატერიალური დამთავრების მომენტი ხშირად ისეა უკან გადაწეული, რომ უმრავლეს შემთხვევაში დანაშაულის მატერიალური დამთავრების დადგენის საჭიროება არ არსებობს. დანაშაულის მატერიალური დამთავრება მხოლოდ განგრძობად დანაშაულებშია მნიშვნელოვანი, როდესაც დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დამთავრებას შორის (სუქცესიური) დახმარება და მაკვალიფიცირებელი ნიშნების შესრულებაა შესაძლებელი. იგივე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადებზეც.

VII. ექსკურსი: შეკვეცილი შემადგენლობები

1. გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა

აქ მოკლედ უნდა მივუთითოთ გერმანული სისხლის სამართლის თავისებურებაზე, კერძოდ, ე. წ. **შეკვეცილ შემადგენლობებზე**.³⁰ კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა, რომ მცდელობა და დანაშაულის ფორმალური დამთავრება ერთმანეთს უნდა გაუთანაბრდეს. ამას შედეგად მოსდევს ის, რომ ამსრულებელი მცდელობის სტადიაში გადასვლისას დელიქტს უკვე სრულად განახორციელებს. იგი ამ დელიქტებისას ფორმალურად დამთავრებული დანაშაულისათვის დაისჯება, თუმცა ზოგადი წესების მიხედვით მცდელობაა სახეზე.

ამ **შეკვეცილი შემადგენლობების** ცნობა შესაძლებელია იმით, რომ კანონმდებელი შემდეგ ფორმულირებას იყენებს: „ვინც [განსაზღვრული ქმედების ჩადენას] წამოიწყებს“. მაგალითისათვის აქ უნდა დავასახელოთ გერმანიის სსკ §81, სამშობლოს ღალატის ნორმა. აქ დელიქტების შედარებით მცირე რაოდენობაზეა საუბარი. ტერმინ „წამოიწყებს“ მნიშვნელობა მოცემულია გერმანიის სსკ §11 #6-ში,

³⁰ შდრ. *Frister, Helmut*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2015, 23. Kap. Rn. 10 ff.; *Rath, Jürgen*, *Juristische Schulung (JuS)*, 1999, 32, 34 f.

სადაც განმარტებულია, რომ ამ ტერმინში „ნამონეებს ქმედების განხორციელებას“ როგორც ქმედების მცდელობა, ასევე მისი დამთავრება იგულისხმება. შესაბამისად, ის, ვინც იმ ქმედებებს განახორციელებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში მხოლოდ მცდელობად შეფასდებოდა, გერმანიის სსკ §81 ლატიის დამთავრებულ შემადგენლობას ასრულებს.³¹ მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის ამგვარ გათანაბრებას შეკვეცილ შემადგენლობებში შედეგად მოსდევს ის, რომ არც სასჯელი შემსუბუქდება ფაკულტატურად გერმანიის სსკ §23 მე-2 ნაწილით და არც ნებაყოფლობით ხელის აღება გერმანიის სსკ §24 მიხედვით შესაძლებელი.³² თუმცა კანონმდებელი შეკვეცილი შემადგენლობის დელიქტებში ხშირად ქმედითი მონაწილის ე. ი., როგორც ვნახეთ, დამთავრებულ დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

2. ქართული სამართლებრივი მდგომარეობა

ქართულად (ასევე რუსულად) დარგობრივი ტერმინი „ნამონეების დელიქტი“ ხშირად ითარგმნება როგორც „ფორმალური“ ანდა „შეკვეცილი“ შემადგენლობა. თუმცა ქართული სისხლის სამართალი ზუსტ დარგობრივ ტერმინს, „ნამონეების დელიქტი“, არ იცნობს, მაგრამ ქართულ სისხლის სამართალშიც არსებობს ხელყოფამდელი შემადგენლობები, რომლებიც ლიტონი მომზადებისას ან მცდელობისას ქმედებას უკვე დამთავრებულად დანაშაულად აცხადებენ. როგორც გერმანულ სისხლის სამართალში, დანაშაულის დამთავრების მომენტი ამ შემთხვევებში წინაა გადაწეული, რათა ამგვარად დაუმთავრებელი დანაშაულის შესაძლო სარგებელი (სასჯელის ევენტუალური შემსუბუქება ანდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა) თავიდან იქნას აცილებული.

³¹ შდრ. *Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang / Eisele, Jörg*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 12. Aufl., 2016, § 22 Rn. 8.

³² *Fischer, Thomas*, *Strafgesetzbuch mit Nebengesetzen*, 63. Aufl., 2016, § 11 Rn. 28a f.; *Frister, Helmut*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2015, 23. Kap. Rn. 10; *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 5. Aufl., 1995, § 49 VIII 2; *Schönke, Adolf/Schröder, Horst/Eser, Albin/Bosch, Nikolaus*, *Strafgesetzbuch*, 29. Aufl., 2014, § 11 Rn. 45 f.

ამას მიეკუთვნებიან მაგ., საქართველოს სსკ 224-ე მუხლი (ბანდიტიზმი), რომელშიც მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით უკვე დასჯადადაა აღიარებული.

ამგვარი ხელყოფის წინა ეტაპის შემადგენლობის სხვა მაგალითია ყაჩაღობის (საქართველოს სსკ 179-ე მუხლი) შემადგენლობა, რომელშიც პირზე თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დამთავრებული დანაშაულია. ამასთან თავდასხმა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიში ძალადობის ან მისი გამოყენების მუქარასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მონაკვეთი ძალადობრივ თავდასხმასა და ნადავლის შეუქცევად დაუფლებას შორის დანაშაულის მატერიალური დამთავრების ფაზას მოიცავს, რაც სუქცესიური თანამსრულებლობის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან „დანაშაულს მიერთებული“ პირი სისხლის სამართლის ტრადიციული შეხედულების და მყარი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ იმ ქმედებისათვის შეიძლება დაისაჯოს, რომელიც მან თავად განახორციელა და არა იმისათვის, რომელიც მან ქმედებაში ჩართვით მიიწონა.³³

VIII. ექსკურსი: დასჯადობის წინ გადაწევა

1. გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა

სტატიის ბოლოს კიდევ ერთ საკითხზე უნდა მივუთითოთ, რომელსაც თუმცა დანაშაულის განვითარების ეტაპებთან არა აქვს უშუალო კავშირი, მაგრამ „დასჯადობის წინ გადაწევის“ თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს ასრულებს. წინა მოსაზრებებს, ისევე, როგორც დანაშაულის განვითარების სტადიების ანალიზს განზრახ ჩადენილი შედეგიანი დელიქტის სტანდარტული მოდელი ჰქონდა მხედველობაში. რადგან დანაშაულის როგორც მომზადება, ასევე მცდელობა განზრახ დანაშაულს გულისხმობს, გაუფრთხილებლობითი დასჯადი ქმე-

³³ *მახარაძე*, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, 2006, გვ. 41; *ნაჭყებია, გურამ*, წიგნში: ნაჭყებია, გურამ/დვალაძე, ირაკლი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2. გამოცემა, 2007, გვ. 207.

დებები ამ პრობლემატიკიდან გამორიცხულია. რაც შეეხება განზრახ დანაშაულს, დიდი განსხვავებაა იმაში, განზრახი ხელყოფის დელიქტი გაანალიზდება თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტთან გვაქვს საქმე, რადგან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დასჯადობა იმდენად წინაა გადაწყვეტილი, რომ განსაზღვრული ობიექტის ხელყოფა ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა საჭირო არაა.

მაგალითი 11: ნასვამი პირი ავტომანქანას მართავს, ამასთან მისთვის სულ ერთია, იგი ადამიანს მოკლავს თუ მას საფრთხეში ჩააგდებს. მისი ერთადერთი მიზანი სახლში სწრაფად მისვლაა. იგი ამას შეძლებს კიდეც, რადგან მთელი გზის მანძილზე არავის შეხვდება. მხოლოდ მკვლელობის შედეგად იგი დელიქტი რომ არსებობდეს, ამ შემთხვევაში პირი დამთავრებული დანაშაულისათვის ვერ დაისჯებოდა, რადგან არავინ მომკვდარა. მცდელობის დასჯადობაც აქ უაღრესად საეჭვოა, რადგან გაუარესებელია, დაიწყოს თუ არა აქ შემადგენლობის უშუალოდ განხორციელება, რადგან პირს მანქანის მართვისას არავინ შეხვედრია. ამ შემთხვევაში ამსრულებლისათვის ხელის აღება შესაძლებელი იქნებოდა, თუ იგი მაგალითად, ადამიანის დანახვისთანავე ავტომანქანას ნებაყოფლობით გააჩერებდა, მანქანიდან გადმოვიდოდა და სახლში ფეხით წავიდოდა. „მკვლელობის“ შედეგად დანაშაულისათვის პირი ამ შემთხვევაში ვერ დაისჯებოდა, რადგან იგი მცდელობის სტადიაში ან საერთოდ არ გადავიდოდა, ანდა იგი მცდელობაზე ხელს აიღებდა.

თანამედროვე გერმანული სისხლის სამართალი იცნობს გერმანიის სსკ §316 აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, რომლის მიხედვითაც პირი მხოლოდ ავტომანქანის სიმთვრალეში მართვის გამო დაისჯება და ადამიანის საფრთხეში ჩაყენება საჭირო არაა. აშკარაა, რომ კანონმდებელმა ამგვარ შემთხვევებში პირის ქმედების დიდი საშიშროების გამო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შექმნით დასჯადობა მეტად წინ გადაწია. შესაბამისად, განზრახ ჩადენილი შედეგადიანი დანაშაულებისათვის ჩამოყალიბებული დანაშაულის განხორციელების სხვადასხვა სტადია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებზე არ ვრცელდება.³⁴

³⁴ გამოწვევისა მაგ., გსსკ §306ა, რომლის მცდელობაც შესაძლებელია.

გარდა ამისა, ამგვარად იმ ქმედებების დასჯა შეიძლება, რომლებიც სხვა შემთხვევაში გაუფრთხილებლობით დელიქტის მცდელობად ჩაითვლებოდა და დაუსჯელი იქნებოდა: თუ ნასვამი პირი ავტომანქანას მართავს და ამ დროს უნებლიედ ადამიანს მოკლავს, დაისჯება გერმანიის სსკ §222 მიხედვით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისათვის, მაგრამ თუ ადამიანი არ მოკვდება, სტრუქტურულად იქნება გაუფრთხილებლობით დელიქტის დაუსჯელი მცდელობა.³⁵ „ნასვამ მდგომარეობაში მართვის“ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შექმნით შესაძლებელია გერმანიის სსკ §316-ით ეს ქმედებაც სისხლის სამართლის მიერ იყოს მოცული.

2. ქართული სამართლებრივი მდგომარეობა

ქართული სისხლის სამართალი იცნობს დასჯადობის წინ გადაწევას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების საშუალებით. ამგვარ კლასიკურ დელიქტებს მიეკუთვნება, მაგ., ფრენის საერთაშორისო წესების დარღვევა, (საქართველოს სსკ 280-ე მუხლი). ეს ნორმა მოიცავს როგორც აბსტრაქტულ (საქართველოს სსკ 280-ე მუხლის პირველი ნაწილი), ასევე კონკრეტული საფრთხის დელიქტს (საქართველოს სსკ 280-ე მუხლის II ნაწილი).³⁶ საქართველოს სსკ 280-ე მუხლის პირველი ნაწილი მოიცავს მხოლოდ ნებადართული მარშრუტის, მითითებული ფრენის სიმაღლის, დაჯდომის ადგილის, საჰაერო ჭიშკრის დაუცველობას ან ფრენის საერთაშორისო წესების სხვა დარღვევას (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი). საქართველოს სსკ 280-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს იმავე ქმედებებს, რამაც დასახლებულ უბანს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ქმედება სისხლისსამართლებრივად მხოლოდ განზრახი ქმედებისათვის დაისჯება. გაუფრთხილებლობა კი მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალითაა სანქციონირებული. განზრახ ჩადენილი შედეგადიანი და-

³⁵ შდრ., მხოლოდ Beck, Susanne, Juristische Arbeitsblätter (JA), 2009, 111, 113; Kretschmer, Joachim, JURA 2000, 267, 268; Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut, Strafrecht, Allgemeiner Teil, 46. Aufl., 2016, Rn. 930.

³⁶ მამულაშვილი, გოჩა, წიგნი: ლეკვიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-5 გამოცემა, 2017, გვ. 151-152.

ნაშაულებსათვის ჩამოყალიბებული დანაშაულის ჩადენის სტადიები, ისევე, როგორც გერმანულ სისხლის სამართალში, როგორც წესი, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებზე არ ვრცელდება.³⁷

გაუფრთხილებლობითი დანაშაულები ქართულ სისხლის სამართალში, როგორც წესი, შედეგიანი დანაშაულებია. გერმანული სისხლის სამართლის §316 შესაბამისი პრევენციული ხასიათის ნორმა ქართულ სისხლის სამართალში არ არსებობს. იგი მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალში გვხვდება. ნორმები, რომლებიც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის წინა ეტაპზე მოქმედებენ, ე. ი. საბოლოო ჯამში, „გაუფრთხილებლობით მცდელობას“ მოიცავენ და ამ მხრივ, აბსტრაქტულ დელიქტებს წარმოადგენენ, რომელთა ჩადენა გაუფრთხილებლად შესაძლებელი, ქართულ სისხლის სამართალში იშვიათია. შესაბამის აკრძალვას მოიცავს საქართველოს სსკ 241-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დასჯადია ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან გარემოს რადიაქტიური დაბინძურება. ამას გარდა, უნდა დავასახელოთ საქართველოს სსკ 242-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დასჯადია აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგის გამოწვევა შეეძლო. ქმედება ორსავე ნორმაში უკვე უსაფრთხოების წესების დარღვევითაა დამთავრებული. ამგვარი გაუფრთხილებლობითი საფრთხის დელიქტები პრევენციული ხასიათისაა, ტექნიკურ ეპოქაში საფრთხის მართვას ემსახურება და არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის დაბალანსებას.

IX. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

აღნიშნულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გერმანიისა და საქართველოს სამართლებრივი სიტუაცია მრავალი მსგავსების მიუხედავად განსხვავებულსაც მოიცავს, რომლებიც ხშირად უკვე კანონიდან გამომდინარეობს, რაც განსაკუთრებით ნათელია

მოსამზადებელი ქმედებების დასჯადობის და მცდელობის დასაწყისისას. როდესაც ქართული სისხლის სამართლის კოდექსი მე-18 მუხლში დანაშაულის მომზადების ზოგად დელიქტს ითვალისწინებს, რომელიც, სულ მცირე, სიტყვიერი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთპიროვნულ ამსრულებელსაც მოიცავს, გერმანული სისხლის სამართალი გერმანიის სსკ §30-ში მხოლოდ რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მოლაპარაკების დასჯადობას იცნობს. მეორე მხრივ, მცდელობის დეფინიცია საქართველოს სსკ მე-19 მუხლში წმინდა ობიექტურადაა ჩამოყალიბებული, გერმანულ სისხლის სამართალში კი გერმანიის სსკ §22 უშუალოდ ამსრულებლის წარმოდგენას ეყრდნობა. მომზადების ზოგადი დელიქტის არსებობას შედეგად მოსდევს ის, რომ მცდელობის დაწყების ზღვარი გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ქართულ სისხლის სამართალში გვიან შეიძლება დაფიქსირდეს. განსხვავებანი, რომლებიც უკვე კანონიდან გამომდინარეობენ, განსაკუთრებით გათვალისწინებულ უნდა იქნას სამართლის სხვა სისტემიდან სამართლებრივი შეხედულებების და სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასების რეცეპციისას. სასამართლო პრაქტიკაში ეს განსხვავება სავარაუდოზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე ამას შეიძლება ველოდეთ. განსაკუთრებით საქართველოს სსკ მე-18 მუხლის შეზღუდულ განმარტებას შედეგად მოსდევს ის, რომ სამართლებრივი სიტუაცია, მიუხედავად განსხვავებული ნორმებისა, ორივე ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში ერთმანეთის მსგავსია, კერძოდ, ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ დანაშაულის მომზადება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, როგორც წესი, არ ისჯება. მეორე მხრივ, ქართული სისხლის სამართალი საქართველოს სსკ მე-19 მუხლის ობიექტური ფორმულირების მიუხედავად, იცნობს უვარგისი მცდელობის დასჯადობას, რომლის დროსაც სამართლებრივი სიკეთის კონკრეტული საფრთხე თავიდანვე უნდა გამოირიცხოს. საინტერესო ამოცანა იქნებოდა სასამართლო პრაქტიკის სრულყოფილი ანალიზით გარკვევა იმისა, რეალური შემთხვევები კანონმდებლის სხვადასხვაგვარი მიდგომის მიუხედავად, სამართლებრივად მსგავსად განიხილება თუ არა.

³⁷ გამონაკლისია, მაგ. ყაჩაღობა (სსკ 179-ე მუხლი), რომელიც ქართულ სისხლის სამართალში, გერმანულიაგან განსხვავებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაგრამ მისი მომზადება და მცდელობაც კი (სადავოა) შესაძლებელია.

კიბერდანაშაული – ანგეზო და მომავალი*

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

I. შესავალი

კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სისხლისსამართლებრივი ნორმები გერმანიაში ჯერ კიდევ 30 წლის წინ იქნა მიღებული. აღნიშნულმა ნორმებმა მას შემდეგ მოდიფიცირება და სრულყოფა განიცადა, რათა არ ჩამორჩენოდნენ ტექნოლოგიურ პროგრესს, განსაკუთრებით კი ინტერნეტდანაშაულის განვითარებას და ევროკავშირისა და საერთაშორისო სამართლით დადგენილ ვალდებულებებს. საფრთხის ძლიერ აქტუალობაზე მეტყველებს ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია KPMG-ის კვლევები. აღნიშნული კვლევების მიხედვით, გერმანიაში 2015-2016 წლებში გამოკითხულ 504 საწარმოთა 38%-ს შეეხო ე. წ. ელექტრონული დანაშაული და გამოკითხულ საწარმოთა 88%-ის მხრიდან ეს დანაშაული, როგორც მაღალ ან/და როგორც ძალიან მაღალ რისკად შეფასდა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის საფრთხეები, რომლებიც ინფრასტრუქტურას ემუქრება. საქართველო 2008 წელს, როდესაც რუსეთის ჯარი შემოიჭრა, გახდა ფართომასშტაბიანი კიბერთავდასხმის მსხვერპლი.¹ ინტერნეტგვერდზე „stopgeorgia.ru“ შესაძლებელი იყო დამაზიანებელი პროგრამის, სახელწოდებით „war.bat“, ჩამოტვირთვა, რომელიც იძლეოდა ქართულ ინტერნეტსერვერებზე თავდასხმის შესაძლებლობას. აღნიშნულის შედეგად შესაძლებელი გახდა, არამხოლოდ პრეზიდენტის პირადი გვერდის მოქმედების შეჩერება, არამედ ფინანსურმა ინსტიტუტებმაც ეროვნული ბანკის განკარგულებით 10 დღით შეაჩერეს თავიანთი ელექტრონული საბანკო მიმოქცევა. გარდა ამისა, ჰაკერებმა გააყალბეს არაერთ საიტზე მოცემული ინფორმაცია. სხვებთან

* წინამდებარე სტატია წარმოადგენს ავტორის მიერ საქართველოს უნივერსიტეტში (თბილისი) 2017 წლის 24 ოქტომბერს გაკეთებული მოხსენების წერილობით ვერსიას, თავისი სქოლიოებით.

სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა *თამარ ასათიანმა*.

¹ შეად. *Goetz, John, Rosenbach, Marcel, Szandar, Alexander, Krieg der Zukunft, Spiegel 7/2009*, ხელმისაწვდომია: <http://www.spiegel.de/spiegel/a-606165-5.html>.

ერთად მაგალითისათვის აღსანიშნავია საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოსახული კოლაჟი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ადოლფ ჰიტლერის პორტრეტებით.

II. კიბერდანაშაულის დეფინიცია

კიბერდანაშაულის დეფინიციის განსაზღვრა რთულია. ფართო გაგების მიხედვით, აღნიშნულის ქვეშ მოიაზრება ყველა სისხლისსამართლებრივი დანაშაული, რომელიც ჩადენილია საინფორმაციო ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ან მათ მიმართ. გავრცელებულია დიფერენციაცია „კომპიუტერულ დანაშაულსა“ და „ინტერნეტ დანაშაულს“ შორის, კერძოდ, დანაშაულებს შორის, რომელთა ჩადენის დროსაც დანაშაულის ჩადენის საშუალებას ან დანაშაულის ობიექტს კომპიუტერი ან ინტერნეტი წარმოადგენს.² თუმცა ეს დაყოფა მკაცრი არ არის, რადგან მათი სფეროების გადაფარვა ხდება. მიუხედავად ამისა, დანაშაულის საპოლიციო სტატისტიკა (PKS) აღნიშნულ დაყოფას ეყრდნობა, როდესაც აღწერს „ინტერნეტს, როგორც დანაშაულის საშუალებას“ და „კომპიუტერულ დანაშაულს“, როგორც დანაშაულის სპეციალურ ფორმას. „კიბერდანაშაულის შესახებ ფედერაციაში არსებული მდგომარეობის ამსახველი ანგარიში“ (Bundeslagebild Cybercrime) ერთმანეთისაგან ასხვავებს დანაშაულებს, რომლებიც ინტერნეტის, მონაცემთა ბაზების, საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების ან მათი მონაცემების წინააღმდეგ არის მიმართული (კიბერდანაშაული ვინრო გაგებით) და დანაშაულებს, რომლებიც აღნიშნული ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება (კიბერდანაშაული ფართო გაგებით).³

² შეად. *Gercke, Marco*, in: *Gercke, Marco/Brunst, Philipp, Praxishandbuch Internetstrafrecht*, 2009, Rn. 73.

³ *Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016*, 4 ff. (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

III. პრაქტიკული მნიშვნელობა

1. კომპიუტერული დანაშაული

PKS-ის მიხედვით, 2016 წელს კომპიუტერული დანაშაულის **107.751 შემთხვევა** დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით 50%-ზე მეტ ზრდაზე მიუთითებს. აღნიშნული ზრდა დანაშაულის აღრიცხვის ცვლილებებმაც გამოიწვია,⁴ რომლის მიხედვითაც, ამიერიდან დანაშაულები, რომელთა ჩადენაც მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული საგადასახადო ბარათების გამოყენებით ხდება, ფასდება არა როგორც თაღლითობა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის⁵ §263), არამედ კომპიუტერის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობა (გერმანიის სსკ-ის §263a). თუმცა აღრიცხვა მაინც საკმაოდ არასრულყოფილია. ამგვარად, ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ იმ დანაშაულებს მოიცავს, რომელთა დანაშაულის შემადგენლობაც გერმანიის ფარგლებში ხორციელდება⁶, რადგან კომპიუტერული დანაშაულის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ადგილს სწორედ ინტერნეტის გამო არ აქვს დიდი მნიშვნელობა. ამავდროულად, ახლებური გააზრებაც გვაქვს სახეზე: 2017 წლიდან PKS მოიცავს როგორც საზღვარგარეთიდან, ისე დაუდგენელი ადგილმდებარეობიდან ჩადენილ დანაშაულებს,⁷ რის საფუძველზეც რაოდენობრივი მაჩვენებელი კვლავ მნიშვნელოვნად გაიზრდება. და ბოლოს, როგორც პოლიტიკურად, ისე დაზვერვითი მიზნებით მოტივირებული დანაშაულები აღარ იქნება მოცული.⁸ დანაშაულის გახსნის მაჩვენებე-

ლი 2016 წლისთვის 37,7%-ს შეადგენდა და ამით საშუალოზე დაბალი იყო (დანაშაულები მთლიანობაში უცხოური კანონმდებლობის დარღვევის გარეშე: 54,0%),⁹ რაც ინტერნეტის გლობალურობისა და ანონიმურობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, გასაკვირი არაა.

კიბერდანაშაულის შესახებ ფედერაციაში არსებული მდგომარეობის ანგარიში ვინრო გაგებით კიბერდანაშაულთან ერთად, კომპიუტერული დანაშაულის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილსაც ასახავს. 2016 წელს¹⁰ მთლიანობაში **82.649 შემთხვევა** იქნა რეგისტრირებული, რაც წინა წელთან შედარებით 80%-იან ზრდას ნიშნავს. ამ შემთხვევაშიც, როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის აღრიცხვაში განხორციელებულ ცვლილებებთან გვაქვს საქმე, რადგან მხოლოდ კომპიუტერის გამოყენებით განხორციელებული თაღლითობის 58.620 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან „სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბოროტად გამოყენების“ 811 შემთხვევა იყო სახეზე, რომლებიც ასევე კომპიუტერულ თაღლითობას განეკუთვნებიან. ამით აღნიშნული დანაშაული ყველა რეგისტრირებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულის 70%-ზე მეტის გამომწვევია. დანარჩენ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებზე უფრო ნაკლები წილი მოდის: ჯაშუშობა და მონაცემების ხელში ჩაგდება მოსამზადებელ ქმედებებთან ერთად (გერმანიის სსკ-ის §§202a, 202b, 202c) – 12,9%; მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე მონაცემების გაყალბება და სამართლებრივ ბრუნვაში მონაცემების დამუშავების პროცესში მათი გაყალბება (გერმანიის სსკ-ის §§ 269, 270) – 9,9%; მონაცემების შეცვლა და კომპიუტერული საბოტაჟი (გერმანიის სსკ-ის §§ 303a, 303b) – 5,4 %. 2016 წლის განმავლობაში¹¹ აღნიშნული დანაშაულების საფუძველზე მიყენებული ზიანის ოდენობამ 51,63 მლნ. ევრო შეადგინა. თუმცა, აქ გათვალისწინებულია მხოლოდ კომპიუტერული თაღლითობის

⁴ Bundeskriminalamt, Polizeiliche Kriminalstatistik 2016, Band 4, 167 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de>).

⁵ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

⁶ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 3 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

⁷ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2015, 5, Fußnote 01 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2015.html>).

⁸ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2015, 5 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2015.html>).

⁹ Bundeskriminalamt, Polizeiliche Kriminalstatistik 2016, Band 1, 8.

¹⁰ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 6 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

¹¹ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 7 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

საფუძველზე დამდგარი ზიანი, რაც გულისხმობს იმას, რომ ზუსტი დასკვნების გაკეთება რთულია.

2. ინტერნეტი, როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება

„ინტერნეტი, როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება“¹² – ამ აღნიშვნის ქვეშ PKS აერთიანებს ყველა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, რომელთა ჩადენაც ინტერნეტის გამოყენებით ხდება. ეს დანაშაულები შესაძლოა დანაშაულის ნებისმიერ სახეს წარმოადგენდნენ. 2016 წელს **253.290 შემთხვევა** დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით 3,6%-იან ზრდას გულისხმობს. ეს მონაცემი აჩვენებს, რომ დანაშაულის ჩადენის აღნიშნული საშუალების გამოყენება გვხვდება სისხლისსამართლებრივი დანაშაულების 4,3%-ის შემთხვევაში (გარდა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებისა). მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დანაშაულების 95%-ზე მეტის ჩადენა ე. წ. „offline“ ხდება. უმეტესად საქმე ეხება მოტყუებით ჩადენილ დანაშაულებს (გერმანიის სსკ-ის § 263 და შემდგომი; 72,5%), განსაკუთრებით ქონებრივ დაზიანებას მოტყუებით (27,8%). კომპიუტერული დანაშაულის გარდა (იხ. ზემოთ III.1.), დარჩენილი წილი მოდის პორნოგრაფიული პუბლიკაციების მომზადებაზე (გერმანიის სსკ-ის §§ 184 და შემდგომი – 2,3%) და საავტორო სამართალთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის დანაშაულებზე (საავტორო უფლებების შესახებ გერმანიის ფედერალური კანონის §§ 106 და შემდგომი – 1,5%).

3. გამოუვლენელი დანაშაულები

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ სწორედ კიბერდანაშაულის შემთხვევაში გვხვდება **გამოუვლენელი დანაშაულების ძალიან დიდი ოდენობა**, როგორც ამას ბევრი კვლევა აჩვენებს.¹³ ამიტომ, სტატისტიკურ მონაცემებში კიბერდანაშაულის

რეალური ოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილი აისახება. აღნიშნულის მიზეზები იმ ფაქტში უნდა ვეძებოთ, რომ უამრავი დანაშაული უსაფრთხოების გაუმჯობესებული ტექნიკური ღონისძიებების გამო შეუმჩნეველი რჩება ან არ სცდება დანაშაულის მცდელობის სტადიას, ხშირად ზიანი არ დგება და დაზარალებულები, განსაკუთრებით სანარმოები, ცდილობენ არ აღრიცხონ ეს დანაშაულები, რათა მათ არ დაკარგონ მყარი და საიმედო პარტნიორის რეპუტაცია.¹⁴

IV. კიბერდანაშაული ვიწრო გაგებით

კიბერდანაშაულის მთავარ ბირთვს ქმნის კიბერდანაშაული ვიწრო გაგებით, რადგან მის შემთხვევაში დანაშაულის განხორციელებისათვის **მონაცემთა დამუშავება** არსებითი მნიშვნელობის მქონეა. გერმანიაში სათანადო სისხლისსამართლებრივი დანაშაულები გერმანიის სსკ-ის სხვადასხვა თავში გვხვდება, რადგან ისინი „**ელექტრონული გზით ჩადენის**“ შემთხვევებში ანაცვლებენ ტრადიციულ დანაშაულის შემადგენლობებს (თაღლითობა, დოკუმენტის გაყალბება, პირადი ცხოვრების ხელშეშელობის დარღვევა, ქონებრივი ზიანის მიყენება).

1. კომპიუტერული თაღლითობა (გერმანიის სსკ-ის § 263a)

გერმანიის სსკ-ის §263a ეკონომიკური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მეორე კანონის 15.5.1986¹⁵ (**2. WiKG**) საფუძველზე იქნა მიღებული, რათა შევსებულიყო სისხლისსამართლებრივი დასჯადობის არსებული ხარვეზები. თაღლითობა (გერმანიის სსკ-ის § 263) არ მოიცავს მონაცემთა დამუშავების პროცესში განხორციელებულ ქმედებებს, რადგან ამ შემთხვევაში სახეზე არ არის ადამიანის მოტყუება, შეცდომაში შეყვანა ან მისი ქონების განკარგვა.¹⁶ სისხლის სამართლის

¹² Bundeskriminalamt, Polizeiliche Kriminalstatistik 2016, 15.

¹³ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2015, 3, 7 m. w. N. (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2015.html>).

¹⁴ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2015, 8 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2015.html>).

¹⁵ Bundesgesetzblatt (BGBl) I, 721.

¹⁶ Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 10/318, 18; Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 10/5058, 20.

კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ 2003 წლის 22 დეკემბრის¹⁷ 35-ე კანონით 2003 წლის 28 დეკემბერს თაღლითობისა და უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებებთან დაკავშირებული¹⁸ გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის N:2001/413/JI ჩარჩო გადაწყვეტილების იმპლემენტაციისათვის მე-3 და მე-4 აბზაცები იქნა შემოღებული, რათა თავად მოსამზადებელი ქმედებებიც დასჯადი გამხდარიყო.¹⁹

ა) დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა (გერმანიის სსკ-ის § 263a-ის პირველი აბზაცი) თაღლითობის მსგავსადაა შექმნილი და გაბატონებული შეხედულების თანახმად,²⁰ მასთან მჭიდრო კავშირში უნდა განიმარტოს (ე. წ. თაღლითობისათვის დამახასიათებელი განმარტება). იგი შეიცავს დანაშაულის ოთხ ალტერნატივას. 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც საკუთარი თავისათვის ან მესამე პირისათვის მართლსაწინააღმდეგო გზით ქონებრივი სარგებლის მიღების განზრახვით, სხვა პირის ქონებას იმით აზიანებს, რომ მონაცემთა დამუშავებით მიღებულ შედეგს მოიპოვებს: 1. პროგრამის არასწორად აწყობის საფუძველზე (1. ალტერნატივა, პროგრამული მანიპულაცია), 2. არასწორი ან არასრულყოფილი მონაცემების გამოყენების საფუძველზე (2. ალტერნატივა, მინოდების მანიპულაცია), მონაცემების არაავტორიზებული გამოყენებით (3. ალტერნატივა, მონაცემთა ბოროტად გამოყენება) ან არასანქცირებული ზეგავლენით პროგრამის მოქმედების პროცესში (4. ალტერნატივა ე. წ. მონაცემთა შეგროვების შემადგენლობა). თაღლითობაზე (გერმანიის სსკ-ის § 263a მეორე აბზაცი) მითითებიდან გამომდინარე, დასჯადია არამხოლოდ დანაშაულის ჩადენის მცდელობა, არამედ გერმანიის სსკ-ის § 263 მესამე აბზაცის შესაბამისად, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებშიც გვაქვს სახეზე, რომელთა მიმართაც გაზრდილი სასჯელია

გათვალისწინებული, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 10 წლამდე. გარდა ამისა, ჯგუფურად და პროფესიული საქმიანობის გამოყენების გზით დანაშაულის ჩადენისას გამოიყენება გერმანიის სსკ-ის § 263 მე-5 აბზაცი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან 10 წლამდე და, შესაბამისად, დანაშაულს წარმოადგენს.

კიბერდანაშაულისათვის გერმანიის სსკ-ის §263a განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. პრაქტიკაში დომინირებს მოპარული ან გაყალბებული საბანკო და საკრედიტო ბარათების არასანქცირებული გამოყენება ბანკომატებთან ან სალაროებთან.²¹ ამასთან, საქმე ეხება შემთხვევებს, რომლის დროსაც დანაშავე წვდომის მონაცემებს (მომხმარებლის დასახელებას, პინკოდს, ტრანზაქციის ავტორიზაციის ნომერს) ე. წ. „Phishing“-ის მეშვეობით (Mail/SMS/Instant Message-ის გამოყენებით) ან ე. წ. „Pharming“-ის მეშვეობით (გაყალბებულ გვერდებზე გადამისამართებით) მოიპოვებს და შემდეგ მას „ინტერნეტ ბანკინგში“ იყენებს.²² აგრეთვე, საქმე ეხება „სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბოროტად გამოყენებას“, განსაკუთრებით ე. წ. „Phreaking-ს“, რომლის დროსაც სატელეფონო ან/და მონაცემთა ბაზები უცხო შემაერთებლის ხარჯზე მოქმედებს, ასევე ე. წ. „პირატული ბარათების“ გამოყენებას ე. წ. Pay-TV გადაცემების დეკოდირებისათვის და კოდირებული უკაბელო ინტერნეტის არაავტორიზებულ გამოყენებას.²³

ბ) გერმანიის სსკ-ის § 263a მე-3 აბზაცი დანაშაულის მომზადებისათვის განხორციელებულ ქმედებებს დასჯადად მიიჩნევს. 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება ის, ვინც დაამზადებს, თავისთვის ან სხვისთვის მოიპოვებს, თავისუფლად განათავსებს, შეინახავს ან სხვას გადასცემს კომპიუტერულ პროგრამებს, რომელთა მიზანიც გერმანიის სსკ-ის § 263a პირ-

¹⁷ Bundesgesetzblatt (BGBl) I, 2838.

¹⁸ Amtsblatt (ABl.) L 149, 1; იხ. ასევე *Waßmer, Martin Paul*, in Pötz/Grützner/Kreß, Internationaler Rechtshilfeverkehr in Strafsachen, 3. Aufl. 2012, III C 4.9.

¹⁹ Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 15/1720, 10.

²⁰ Sammlung der Entscheidungen des BGH in Strafsachen (BGHSt) 38, 120, 124; 47, 160, 162 s.; *Waßmer, Martin Paul*, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 37 ff. m. w. N.

²¹ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 4 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

²² *Waßmer, Martin Paul*, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 54 m. w. N.

²³ *Waßmer, Martin Paul*, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 56 f. m. w. N.

ველი აბზაცის შესაბამისი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაა. გერმანიის სსკ-ის § 263a მე-4 აბზაცი ადრეულ ეტაპზე დამთავრების გამო გერმანიის სსკ-ის § 149 მე-2 და მე-3 აბზაციებით გათვალისწინებული ქმედითი მონაწილების შესახებ ნორმების სათანადო გამოყენებას ითვალისწინებს. კანონის დასაბუთების თანახმად პროგრამა არ უნდა იყოს განსაზღვრული მხოლოდ კომპიუტერული თაღლითობის ჩასადენად.²⁴ ეს მიდგომა პრობლემურია, რადგან ბევრი პროგრამა შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური მიზნებით (ე. წ. **Dual-Use-Tools**). ამიტომ შეზღუდულად მოითხოვება, რომ პროგრამა „ძირითადად“²⁵ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენას ემსახურებოდეს ან აღნიშნული მის „არსებით“²⁶ მიზანს წარმოადგენდეს. გერმანიის სსკ-ის § 202c-თან დაკავშირებულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში²⁷ შეზღუდულად მოითხოვება, რომ პროგრამა სუბიექტურად იმ მიზნით უნდა იყოს შექმნილი ან მოდიფიცირებული, რომ გამოყენებულ იქნას სისხლისსამართლებრივი დანაშაულების ჩადენისას და ეს განზრახვა ობიექტურად უნდა იყოს გაცხადებული (მაგალითად, ინტერნეტში რეკლამის მეშვეობით).²⁸

2. ჯაშუშობა და მონაცემების ხელში ჩაგდება (გერმანიის სსკ-ის §§ 202a, 202b, 202c)

გერმანიის სსკ-ის §202a-ც 1986 წლის 2. WiKG კანონით იქნა მიღებული, რათა შეესაბამებოდა ის სისხლისსამართლებრივი სიცარიელებები, რომლებიც არსებობდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საიდუმლოების დაცვის სფეროსთან დაკავშირებით.²⁹ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ 2007

წლის 7 აგვისტოს³⁰ 41-ე კანონით კიბერდანაშაულის შესახებ ევროსაბჭოს 2001 წლის 8 ნოემბრის კონვენციის³¹ და საინფორმაციო სისტემებზე თავდასხმების შესახებ³² ევროკავშირის 2005 წლის 24 თებერვლის N:2005/222/JI ჩარჩო გადაწყვეტილების იმპლემენტაციისათვის კი 2007 წლის 8 ნოემბრისათვის გაფართოვდა არამხოლოდ დანაშაულის შემადგენლობები, არამედ ასევე შემოღებულ იქნა გერმანიის სსკ-ის შემდგომი პარაგრაფები: §§ 202b, 202c. პრაქტიკაში აღნიშნული დანაშაულები მოიცავენ განსაკუთრებით ელექტრონული იდენტობების, საკრედიტო ბარათების, ელექტრონული ვაჭრობისა და ანგარიშების მონაცემების, განსაკუთრებით Phishing-ისა და Pharming-ის გამოყენებით „ქურდობას“. მოპოვებული მონაცემების გამოყენება ხდება ან თავად დამნაშავის მიერ ან სხვისგან ე. წ. შავ ინტერნეტ ბაზარზე.³³

ა) გერმანიის სსკ-ის §202a-ის პირველი აბზაცის (ჯაშუშობის გზით მონაცემთა მოპარვა) მიხედვით, 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც უფლებამოსილების გარეშე, მონაცემებზე უსაფრთხო წვდომის დარღვევით თავად ეუფლება ან სხვას ეხმარება იმ მონაცემებზე დაშვების მიღებაში, რომლებიც მისთვის არაა განკუთვნილი და არაუფლებამოსილი დაშვებისაგან განსაკუთრებულადაა დაცული. მონაცემებს გერმანიის სსკ-ის §202a-ის მეორე აბზაცის გაგებით, წარმოადგენს ის მონაცემები, რომლებიც ელექტრონულად, მაგნიტურად ან სხვაგვარად პირდაპირ მიუწვდომლად არის შენახული ან რომელთა გადაცემაც ამგვარი გზით ხორციელდება. აქედან გამომდინარე, მონაცემების დეფინიცია ძალიან ფართოა, მასში ასევე მოიაზრება მონაცემები, რომლებიც ინახება მაგნიტურ ფირებზე, მაგნიტურ დისკეტებზე, მყარ დისკებზე, ფლემ მემსიერებებზე, მემსიერების ბარათებზე (ასევე სმარტფონებზე), საკრედიტო ბარათებზე, CD ან DVD დისკებზე.³⁴

²⁴ Bundestagsdrucksache (BT-Drucks.) 15/1720, 11.

²⁵ Heger, Martin, in: Lackner/Kühl (Hrsg.), StGB, 28. Aufl. 2014, § 263a Rn. 26b.

²⁶ Fischer, Thomas, StGB, 64. Aufl. 2017, Rn. 31.

²⁷ Bundesverfassungsgericht – Computer und Recht 2009, 673.

²⁸ Waßmer, Martin Paul, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 107 m. w. N.

²⁹ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 10/5085, 28.

³⁰ Bundesgesetzblatt (BGBl) I, 1786.

³¹ ETS-Nr. 185.

³² Amtsblatt (ABl.) L 69, 67.

³³ შეად. Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 4, 12 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

³⁴ Hilgendorf, Eric/Valerius, Brian, Computer- und Internetstrafrecht, 2. Aufl. 2012, Rn. 538.

დანაშაულის შემადგენლობა, პირველ რიგში, მოითხოვს მონაცემების განსაკუთრებული დაცულობის არსებობას. აღნიშნული გულისხმობს უსაფრთხოების იმგვარი ზომების არსებობას, რომლებიც გამორიცხავენ მონაცემებზე დაშვებას ან, სულ მცირე, უმნიშვნელოდ არ ართულებენ მას.³⁵ მეორე, აუცილებელია წვდომის უსაფრთხოება იქნას დაძლეული, რისთვისაც უნდა არსებობდეს უფლებამოსილების გარეშე კონკრეტულ დროის მონაკვეთში განხორციელებული ან ტექნიკური სახის მცდელობა.³⁶ ამიტომ, გაბატონებული შეხედულების მიხედვით,³⁷ ე. წ. *Skimming*, მაშასადამე, გადახდის ბარათის მაგნიტურ ლენტზე ჩანერილი მონაცემების უბრალო წაკითხვა არ ქმნის დანაშაულის შემადგენლობას. თუმცა შესაძლოა ეს შემთხვევები მოიცვას გერმანიის სსკ-ის §202c-მა (იხ. ქვემოთ IV.2.გ.) მოცემული დანაშაულის მომზადების შემადგენლობამ, თუკი გამოყენებული იქნება კომპიუტერული პროგრამები.³⁸ მესამე შეზღუდვას ქმნის ნიშანი „არაუფლებამოსილი“, რომლითაც გარანტირებულია, რომ მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობა არ მოიცავს შემთხვევას, რომლის დროსაც მონაცემთა გაყონვა ხდება მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემის უსაფრთხოების ხარვეზებიდან გამომდინარე, როცა „ჰაკერს“ ეს დავალება საწარმოს მხრიდან გადაეცა.³⁹

ბ) გერმანიის სსკ-ის § 202b (მონაცემების ხელში ჩაგდება) მიხედვით, პირი, რომელიც უფლებამოსილების გარეშე თავისთვის ან სხვა პირისთვის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა არასაჯარო გაცვლის პროცესში ჩარევით ან მონაცემთა დამუშავების სისტემის ელექტრომაგნიტური გამოსხივების საფუძველზე მოიპოვებს მონაცემებს, რომლებიც მისთვის არაა განკუთვნილი (გერმანიის სსკ-ის § 202a მე-2 აბზაცი), ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით. ამ შემთხვევაში მოიაზრება მონაცემთა გადაცემის ნებისმიერი ფორმა (მაგალითად, უკა-

ბელო ინტერნეტის, ელექტრონული შეტყობინების, ტელეფონის, ხმოვანი შეტყობინების, ფაქსის მეშვეობით). დანაშაულის შემადგენლობა მოითხოვს „არასაჯაროების“ ელემენტის არსებობას, რისთვისაც გადამწყვეტია არა მონაცემების სახეობა და შინაარსი, არამედ მონაცემების გადაცემის პროცესი.⁴⁰ მონაცემთა მოპოვებისათვის არ აქვს მნიშვნელობა მონაცემთა კოდირების ფაქტის არსებობა.⁴¹ ამ შემთხვევაში არ მოიაზრება მაგალითად, ე. წ. *Phishing*, რომლის დროსაც, მსხვერპლი წვდომის მონაცემებს თავისი სურვილით უგზავნის დამნაშავეს.⁴²

გ) გერმანიის სსკ-ის § 202c მიხედვით, 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც ამზადებს გერმანიის სსკ-ის § 202a და § 202b გათვალისწინებულ დანაშაულებს. კერძოდ, პირი, რომელიც ამზადებს, თავისთვის ან სხვისთვის მოიპოვებს, ასხვისებს, სხვა პირს გადასცემს, ავრცელებს ან სხვაგვარად ხელმისაწვდომს ხდის (1.) პაროლებს ან უსაფრთხოების სხვა კოდებს, რომლითაც შესაძლებელია მონაცემებზე დაშვება, ან (2.) კომპიუტერულ პროგრამებს, რომელთა მიზანიც ამგვარი დანაშაულის ჩადენაა. ამასთან აქ გამოყენებულ უნდა იქნეს გერმანიის სსკ-ის § 149 მე-2 და მე-3 აბზაცი გათვალისწინებული რეგულაციები ქმედითი მონანიების შესახებ. კანონმდებელს ამ რეგულაციით ყველაზე მეტად სურდა მოეცვა ის ჰაკერული მექანიზმები, რომლებიც ინტერნეტში ფართოდაა გავრცელებული.⁴³ ამასთან, აქ პრობლემა არის ის, რომ ე. წ. ორმაგი მიზნით გამოყენებადი მექანიზმები (*Dual-Use-Tools*) უსაფრთხოების დამცავი კომპანიების მიერ სატესტო პროგრამის სახით შესაძლოა იქნას გამოყენებული. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, (შეად. IV.1.ბ.) ნორმა შეზღუდულად უნდა განი-მარტოს.

³⁵ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 16/3656, 10.

³⁶ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 16/3656, 10.

³⁷ Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 2011, 154.

³⁸ *Waßmer, Martin Paul*, Computerbetrug (§ 263a StGB), in: Leitner, Werner/Rosenau, Henning, Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 2017, Rn. 108 m. w. N.

³⁹ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 16/3656, 10.

⁴⁰ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 16/3565, 11.

⁴¹ *Eisele, Jörg*, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, StGB, 29. Aufl. 2014, Rn. 4a.

⁴² *Eisele, Jörg*, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, StGB, 29. Aufl. 2014, Rn. 4.

⁴³ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 16/3656, 12.

3. მტკიცებულების ძალის მქონე მონაცემების გაყალბება და შეცდომაში შეყვანა სამართალბრუნვისას მონაცემთა დამუშავების პროცესში (გერმანიის სსკ-ის §§ 269, 270)

გერმანიის სსკ-ის §§ 269, 270 ასევე 2. WiKG კანონის საფუძველზე იქნა მიღებული, რათა ამოვსებულიყო დასჯადობასთან დაკავშირებული ხარვეზები, რადგან გერმანიის სსკ-ის § 267 (დოკუმენტების გაყალბება) არ გამოიყენება, როდესაც კომპიუტერში შენახული მონაცემები ვიზუალურად აღქმადი სახით არ იცვლება.⁴⁴

გერმანიის სსკ-ის § 269-ის პირველი აბზაცის მიხედვით, 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც სამართალბრუნვისას შეცდომაში შეყვანის მიზნით, მტკიცებულების ძალის მქონე მონაცემებს იმგვარად ჩანერს ან შეცვლის, რომ მისი აღქმით ეს დოკუმენტი მცდარი ან გაყალბებულია, ან გამოიყენებს ამგვარად ჩანერილ ან შეცვლილ მონაცემებს. **გერმანიის სსკ-ის § 270-ის** მიხედვით, სამართალბრუნვისას შეცდომაში შეყვანა უთანაბრდება სამართალბრუნვისას მონაცემთა დამუშავების პროცესზე არასწორ ზემოქმედებას. ეს გათანაბრება სამართლებრივ სიცხადეს ქმნის იმ შემთხვევებისათვის, რომელთა დროსაც დამნაშავე დოკუმენტებს და მონაცემებს კონკრეტულ პირს კი არ გადაუზავნის, არამედ კომპიუტერში კითხულობს.⁴⁵ პრაქტიკაში დანაშაულის შემადგენლობებს შესაძლოა წარმოადგენდეს არამხოლოდ ის შემთხვევები, რომელთა დროსაც პირები ელექტრონული მისამართის ან საკრედიტო ბარათების მონაცემების დაკარგვის მიზნით შეცდომაში შეჰყავთ კონკრეტულ იდენტობას ან კომპანიის სახელს ამოფარებული ელექტრონული შეტყობინებების მიღებით, არამედ აქ ასევე მოიაზრება მაგალითად, ელექტრონულ მისამართებზე ზიანის მიმყენებელი პროგრამების გაგზავნა, რომლებიც გადასახადების გადახდის ქვითრების სახით არიან შენიღბულნი.⁴⁶ ამ დანაშაულების მცდელობაც დას-

ჯადია (გერმანიის სსკ-ის § 269 მე-2 აბზაცი). უფრო მეტიც, არამხოლოდ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებისათვის არსებობს უფრო დიდი სასჯელის საფრთხე (გერმანიის სსკ-ის § 269 მე-3 აბზაცი), არამედ ასევე ჯგუფურად ან პროფესიული საქმიანობის გამოყენებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევებშიც (გერმანიის სსკ-ის § 269 მე-4 აბზაცი).

4. მონაცემთა შეცვლა და კომპიუტერული საბოტაჟი (გერმანიის სსკ-ის §§ 303a, 303b)

და ბოლოს, 2. WiKG კანონით შემოღებულ იქნა გერმანიის სსკ-ის §§ 303a, 303b, რათა ამოვსებულიყო დასჯადობის ის სიცარიელები, რომლებიც არსებობდა ქონებრივ დაზიანებასთან დაკავშირებით (გერმანიის სსკ-ის § 303).⁴⁷ სისხლის სამართლის კოდექსი ცვლილებების განხორციელების შესახებ 41-ე კანონის (IV.2.) საფუძველზე, 2007 წლის 11 ნოემბერს შეივსო სისხლისსამართლებრივი ნორმები და მოსამზადებელი ქმედებებიც დასჯადი გახდა. პრაქტიკაში დანაშაულის შემადგენლობების ქვეშ მოიაზრება „ქონების ელექტრონული დაზიანების“ მრავალი ფორმა კომპიუტერულ სისტემებზე თავდასხმებთან ერთად (ე. წ. DoS/DDoS თავდასხმები), ზიანის მიმყენებელი პროგრამების (ე. წ. Trojaner-ის, ვირუსების, ე. წ. ქსელური ჭიების) გამოყენება და მომზადება.⁴⁸

გერმანიის სსკ-ის §303a მესამე აბზაცით (მონაცემთა შეცვლა), ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ფულადი ჯარიმა ემუქრება პირს, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ წაშლის ან დამალავს მონაცემებს, შეცვლის ან შეუძლებელს გახდის მათ გამოყენებას. გარდა ამისა, **გერმანიის სსკ-ის § 303b პირველი აბზაცით (კომპიუტერული საბოტაჟი)**, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება პირი, რომელიც სხვა პირისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მონაცემთა დამუშავების პროცესს იმით უშლის მნიშვნელოვნად ხელს, რომ იგი (1.) გერმანიის სსკ-ის

⁴⁴ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 10/318, 31.

⁴⁵ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 10/318, 34.

⁴⁶ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 5 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

⁴⁷ Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 10/5058, 34.

⁴⁸ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 5 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

§ 303a პირველი აბზაციით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩადის, (2.) მონაცემებში შედის იმ მიზნით, რომ ზიანი გამოიწვიოს ან მათ გადამისამართებას ახდენს ან (3.) მონაცემების დამუშავების სისტემას ან მონაცემთა მატარებელს აზიანებს, ანადგურებს, მის გამოყენებას შეუძლებელს ხდის, შლის ან ცვლის. თუკი მონაცემთა დამუშავება უცხო საწარმოსთვის, უცხო კომპანიისათვის ან სახელმწიფო ორგანოსათვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა მაშინ გერმანიის სსკ-ის § 303a მე-2 აბზაცი სასჯელის სახით 5 წლით თავისუფლების აღკვეთას ან ფულად ჯარიმას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაშიც დანაშაულის მცდელობა დასჯადია (გერმანიის სსკ-ის § 303a მე-2 აბზაცი და § 303b მე-3 აბზაცი) და არსებობს რეგულაცია განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებისათვისაც (გერმანიის სსკ-ის §303b მე-4 აბზაცი). დანაშაულის მომზადებისათვის გერმანიის სსკ-ის §202c შესაბამისად გამოიყენება (გერმანიის სსკ-ის § 303a მე-3 აბზაცი და § 303b მე-5 აბზაცი).

V. თვალსაზირი

კიბერდანაშაულის გამოვლინების მრავალი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიაში სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენებით ხდება, რომლებიც დანაშაულის სხვადასხვა სფეროს ქვეშ არიან თავმოყრილი და თავიანთი გადაკვეთის ნერტილებით დაცვის საკმაოდ მსხვილ ქსელს ქმნიან. აღნიშნულით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმი დღეისათვის საკმარისია. აღნიშნული ჩანს ასევე იმაში, რომ ჩრდილოეთ რაინ ვესტფალიის მიწის იუსტიციის მინისტრის 2017 წლის აგვისტოს ინიციატივა, რომლის თანახმადაც, „სახლის მყუდროებაში ელექტრონული გზით ჩარევა“ დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი ნორმით დასჯადი უნდა გამხდარიყო, დღემდე ფართოდაა უარყოფილი.⁴⁹ რადგან სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ხარვეზები, მაგალითად, კომპიუტერის მომხმარებლების მიერ ვებკამერების მეშვეობით ფარული გადაღების შემთხვევაში, რომელიც კონტროლდება სპეციალური ჯგუფური პროგრამების, ე. წ. Botnet-ების

მიერ, ამ დროისათვის არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ფედერაციული მიწის – ჰესენის – 2016 წლის⁵⁰ საკანონმდებლო განაცხადი, რომლის თანახმადაც, ასევე სახლის მყუდროებაში ელექტრონული გზით ჩარევა სისხლისსამართლებრივად დასჯადი უნდა გამხდარიყო, ფედერალური მთავრობის მხრიდან უარყოფილ იქნა.⁵¹ მიუხედავად ამისა, არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმები განმარტებისას ნაწილობრივ პრობლემებს მაინც ქმნიან. ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ მათ უკეთესად სისტემატიზირებული ხასიათი ჰქონდეთ და უფრო მკაცრად შემოსაზღვრულნი იყვნენ,⁵² რათა პრაქტიკოსებს მათზე მუშაობა გაუმარტივდეთ.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ **საფრთხის შექმნისა და ზიანის მიყენების პოტენციალი** მუდმივად იზრდება, რადგან ინტერნეტის მნიშვნელობა, როგორც პირადი, ასევე საქმიანი ურთიერთობების სფეროში კვლავ იზრდება. ეს, ერთი მხრივ, სოციალური მედიის, ინტერნეტვაჭრობის და „ინტერნეტ ბანკინგის“ სწრაფი ზრდის შედეგია. მეორე მხრივ, განუწყვეტილ ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, როგორებიცაა, მაგალითად, ელექტრონული მაცივრების გამოყენება („Internet of Things, IoT“) ან საწარმოში მიმდინარე პროცესების ინტერნეტზე დაფუძნებული მართვა (ე. წ. „ინდუსტრია 4.0“). ამით იზრდება ასევე მანიპულაციებისა და თავდასხმების შესაძლებლობები.⁵³ ამას ემატება, რომ დამნაშავეების პროფესიონალიზმი და ორგანიზებულობა არამხოლოდ იზრდება, არამედ კიბერდანაშაულების ჩადენა უფრო და უფრო მეტად შეუძლიათ იმ პირებსაც, რომელთაც არ აქვთ განსაკუთრებული კომპიუტერული ცოდნა.⁵⁴

⁵⁰ Gesetzesantrag vom 23.9.2016, Bundesrat – Drucksachen (BR-Drs.) 338/16 (B).

⁵¹ Stellungnahme der Bundesregierung vom 2.11.2016, Bundestagsdrucksache (BT-Drs.) 18/10182.

⁵² Vorschläge bei Sieber, Ulrich, in: 69. Deutscher Juristentag München 2012, Thesen der Gutachter und Referenten, 32 f. (ხელმისაწვდომია: http://www.djt.de/fileadmin/downloads/69/120809_djt_69_thesen_web.pdf).

⁵³ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 25, 26 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

⁵⁴ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 27 (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

⁴⁹ შეად. <http://www.wn.de/Freizeit/Ratgeber/Digitales/2941045-Digitaler-Hausfriedensbruch-soll-Straftatbestand-werden-Experten-zweifeln-an-Gesetzesentwurf>.

რადგან ე. წ. ელექტრონული „მინისქვეშა ეკონომიკა“ („Underground Economy“) დღეს მომსახურებისათვის საკმაოდ დიდ გამტარუნარიანობას ქმნის, ისეთს, როგორებიცაა ე. წ. სპეციალური ჯგუფური პროგრამები, ე. წ. Botnet-ები, ცალკეული კომპიუტერული პროგრამები, საკომუნიკაციო პლატფორმები, ანონიმურობის მიმნიჭებელი და ე. წ. სა-ჰოსტინგო მომსახურებები,⁵⁵ რომლებიც სისხლის-სამართლებრივი დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობას იძლევიან ან მათ ჩადენას ამარტივებენ.

მომავალში ფოკუსირება უმეტესად ინფრასტრუქტურაზე მოხდება, როგორც ამას **საქართველოზე განხორციელებული კიბერთავდასხმები** ნათლად აჩვენებს. უსაფრთხოების სამსახურებს აქვთ შიში ელექტრონული 11 სექტემბრის განხორციელებისა. სწორედ ამიტომ, გერმანიაში ჯერ კიდევ 2011 წლის აპრილში შეიქმნა **კიბერთავდასხმების თავიდან აცილების ეროვნული ცენტრი (NCAZ)**, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც უსაფრთხოების ორგანოების თანამშრომლობისათვის შექმნილი გაერთიანება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე ელექტრონული თავდასხმების თავიდან ასაცილებლად.⁵⁶

2017 წლის აპრილში ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ **კიბერარმიასაც** ჩაუყარა საფუძველი, რათა ინფრასტრუქტურები მომავალში უკეთ იქნას დაცული უცხო ქვეყნების ჰაკერული თავდასხმებისაგან და ძალებისაგან.⁵⁷ არმიის, საზღვაო ფლოტის და საჰაერო ძალების გვერდით, კიბერარმია შექმნის ახალ შეიარაღებულ დანაყოფს, რომელიც თავდაპირველად 260 ჯარისკაცისაგან შედგება. 2021 წლისათვის საბრძოლო დანაყოფს 13.500 ჯარისკაცი და 1500 სამოქალაქო თანამშრომელი ეყოლება. ამით ასევე გათვალისწინებული იქნება ის ფაქტიც, რომ ნატომ კიბერსივრცე 2016 წლის ივნისში ოპე-

რაციების დამოუკიდებელ სივრცედ გამოაცხადა.⁵⁸ მას შემდეგ შესაძლებელია ჰაკერულმა თავდასხმებმა ნატოს წევრ ქვეყანაზე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება გამოიწვიოს.

გარდა ამისა, ითვლება, რომ კიბერდანაშაულთან, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის ფორმასთან ბრძოლა უსაფრთხოების სამსახურებისა და ეკონომიკის სფეროში მოქმედი კომპანიების მჭიდრო და ნდობაზე დაფუძნებულ **კოოპერაციას** მოითხოვს, არამხოლოდ ეროვნულ, არამედ ეროვნულ-კავშირის და საერთაშორისო დონეზე. მხოლოდ ინფორმაციის მუდმივი გაცვლით იქნება შესაძლებელი მომავალში ელექტრონულ დანაშაულთან ეფექტიანი და მდგრადი ბრძოლა.

და ბოლოს, ცენტრალური მნიშვნელობის მქონეა, რომ მთავრობებმა და უსაფრთხოების სამსახურებმა იზრუნონ **ეფექტიან პრევენციაზე**, განსაკუთრებით მოსახლეობისა და კომპანიებისათვის არსებულ საფრთხეების და მათი ახალი ფორმების შესახებ მუდმივ რეჟიმში ინფორმაციის მიწოდებით. ამიტომ გერმანიაში ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ ფედერალური უწყება – **Bundesamt für Informationssicherheit (BSI)**⁵⁹ – ფლობს ყოველს-მომცველ ინფორმაციას კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და განუწყვეტლივ ავრცელებს ცნობებსა და გაფრთხილებებს აქტუალური კრიტიკული წერტილებისა და IT-უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ.

VI. დასკვნა

კიბერდანაშაული მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. გერმანიაში მასზე რეაგირება ტრადიციული სისხლისსამართლებრივი დანაშაულების მოდიფიცირებით და შევსებით განხორციელდა, რომლებიც დანაშაულის სხვადასხვა სფეროს ფარავენ. საფრთხისა და ზიანის მიყენების ზრდის საფუძველზე აუცილებელია არამხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების ორგანოებსა და კომპანიებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობების შექმნა და

⁵⁵ Bundeskriminalamt, Bundeslagebild Cybercrime 2016, 16 f. (ხელმისაწვდომია: <https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/Publikationen/JahresberichteUndLagebilder/Cybercrime/cybercrimeBundeslagebild2016.html>).

⁵⁶ https://www.bka.de/DE/UnsereAufgaben/Kooperationen/NCAZ/ncaz_node.html; Bundesministerium des Innern, Cyber-Sicherheitsstrategie für Deutschland, 2011, 8 f. (ხელმისაწვდომია: <https://www.bmi.bund.de>)

⁵⁷ შეად. <http://www.zeit.de/digital/internet/2017-04/cyber-armee-bundeswehr-ursula-von-der-leyen>; Bundesministerium des Innern, Cyber-Sicherheitsstrategie für Deutschland, 2016, 38 f.

⁵⁸ შეად. <http://www.zeit.de/politik/ausland/2016-06/cyberwar-r-nato-jens-stoltenberg-operationsgebiet>.

⁵⁹ ვებ-გვერდი: <https://www.bsi.bund.de>.

გაფართოება, არამედ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ კიბერთავდასხმების თავიდან ასაცილებლად, მაგალითად, საბრძოლო დანაყოფის შექმნით. და ბოლოს, აუცილებელია მოსახლეობისა და კომპანიების მუდმივი ინფორმირება საფრთხის შესახებ, რადგან ეფექტიანი პრევენცია დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდების პროცესში

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, დოქტორანტი, *იზა კელენჯერიძე*,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში სულ უფრო მეტს საუბრობენ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე, როგორც სახელმძღვანელო პრინციპზე სასჯელის შეფარდებისას. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსის¹ სხვადასხვა ნორმებით არეგულირებს სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ სავალდებულო თუ დისპოზიციურ საფუძვლებს, პრაქტიკაში მაინც არის საკითხები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვენ ინდივიდუალურ მიდგომასა და გადაწყვეტას.

სსკ-ის 53-ე მუხლში მოცემულია სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები, სადაც ნათქვამია, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

ისმის კითხვა: როგორ გვესმის სასჯელის პროპორციულობა და რამდენად შესაძლებელია იგი სრულად იქნეს რეალიზებული მოსამართლის მიერ ამა თუ იმ საქმეზე განაჩენის დადგენისას?! სასჯელის პროპორციულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, ვინაიდან სასჯელს გააჩნია სოციალური კონტროლის ფუნქცია, რომელიც საზოგადოების

ერთ-ერთი მოთხოვნილებაა.² აღნიშნულ სტატიაში მიმოვიხილავ სასჯელის შეფარდების პროცესში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობას ადამიანის უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების კუთხით.

II. სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცნება, მიზანი და ფარგლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: დაუშვებელია არაჰუმანური სასჯელის და სასტიკი სასჯელის გამოყენება, რაც სასჯელის პროპორციულობის პრინციპის კონსტიტუციურსამართლებრივ მნიშვნელობაზე მეტყველებს, ვინაიდან იგი ადამიანის ღირსების დაცვას უკავშირდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან რაიმე ვითარებაში და იგი აბსოლუტურ ხასიათს ატარებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან მოპყრობა დაუშვებელია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. აღნიშნული ნორმა ცხადყოფს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობას სასჯელის შეფარდების პროცესში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ის, რომ გარდა ქმედების სწორი კვალიფიკაციისა

¹ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

² Meier, Bernd-Dieter, Strafrechtliche Sanktionen, 4. Auflage, 2015, S.1.

ანუ სუბსუმციისა და მტკიცებულებების აშკარა, დამაჯერებელ და რელევანტურ ხარისხში შეფასებისა, პროვენებისთვის დანიშნული სასჯელი სრულად უნდა შეესაბამებოდეს სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნებს და არ ქმნიდეს ზედმეტად ლმობიერი ან პირიქით – ზედმეტად მკაცრი განსჯის შთაბეჭდილებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს თავის გადაწყვეტილებებში განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობასა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. საქმეზე *AJDARIĆ v. CROATIA*³ ევროსასამართლომ დაადგინა დარღვევა განაჩენის არასაკმარისი დასაბუთებულობის გამო, რამდენადაც სასჯელის შეფარდებისას დარღვეული იყო ინდივიდუალიზაციის პრინციპი და მსჯავრდებულს შეეფარდა ორმოცწლიანი თავისუფლების აღკვეთა; პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობაზე მითითებებს ვხვდებით ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც, რომლის მიხედვითაც, კავშირის წევრ სახელმწიფოებში სამართალდამრღვევებისთვის დაწესებული სანქციები უნდა იყოს სამართალდარღვევის სიმძიმის პროპორციული⁴ და მძიმე სანქციები არ უნდა იქცეს ქვეყანაში თავისუფლად შემოსვლის და ქვეყნის შიგნით ცხოვრებისთვის ხელშემშლელ ფაქტორად. პროპორციული სასჯელის მნიშვნელობაზე საუბარი ევროპის კავშირის ძირითადი ქარტიის⁵ 49-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვითაც „სასჯელის სიმძიმე დანაშაულის არაპროპორციული არ უნდა იყოს.“ თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში სულ უფრო მეტადაა შესამჩნევი მზარდი ტენდენცია სასჯელის მიზნების მნიშვნელობის განსაზღვრისთვის, ჩადენილი დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდებიდან პრევენციაზე დაფუძნებული სასჯელის თეორიის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტისა, სადაც ჩადენილი დანაშაულის პროპორციულობის პრინციპი მხოლოდ ლიმიტირებული და არა განმსაზღვრელი,

ფუძემდებლური ფუნქციითა შემოფარგლული.⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცნება. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს ჩადენილი ქმედების საშიშროების, ბრალის ხარისხის, დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა შეფასების, ბრალდებულის პროვენების და სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინებით, მკაცრად ინდივიდუალიზებული, სამართლიანი სასჯელის შეფარდებას. იგი მკაცრად გამორიცხავს ფორმალურ მიდგომებს სასჯელის დანიშვნის დროს, რამდენადაც გულისხმობს სასჯელის პერსონიფიცირებას ყველა ცალკეულ შემთხვევაში სსკ-ის 53-ე მუხლიდან გამომდინარე.

2015 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სპეციალური კომისიის მეშვეობით, რომელშიც შედიოდნენ როგორც მოსამართლეები, ისე სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციების მონვეული სპეციალისტები, შეიმუშავა სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, სადაც მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ რა გარემოებები უნდა მივიღოთ მხედველობაში პასუხისმგებლობის შემსუბუქებისა თუ დამძიმების თვალსაზრისით და ა. შ. როგორც წესი, განზრახი დანაშაულისათვის წარსულში ნასამართლობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს⁷, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირი წარსულში არ

³ *AJDARIĆ v. CROATIA*, განაცხადი №20883/09, ECtHR, 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-107989>.

⁴ *Ambos, Kai*, Internationales Strafrecht, 3. Aufl., München, 2011, S. 490-491.

⁵ ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია მიღებულია ევროპის კავშირის მიერ 2000 წლის დეკემბრის ნიცის სამიტზე.

⁶ *Zipf, Heinz*, Strafzumessung, 1977, S. 46; *Maurach, Reinhold/Zipf, Heinz*, Strafrecht Allgemeiner Teil 1: Grundlagen des Strafrechts und Aufbau der Straftat, 8. Auflage, 1992, § 7, Rn. 16; *Maurach Reinhart/Gössel Karl-Heinz/Zipf, Heinz*, Strafrecht Allgemeiner Teil 2, 8. Auflage, 2014, § 63, Rn. 1; *Schünemann, Bernd*, Grundfragen des modernen Strafrechtssystems, 1984, S. 158 ff., 187; *Rudolphi, Hans-Joachim*, in: Schünemann, Bernd, Grundfragen des modernen Strafrechtssystems, S. 70 ff.; *Roxin, Claus*, Strafrecht Allgemeiner Teil 1, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre. Gebundene Ausgabe – 12, 2005, § 3 Rn., 36 ff.

⁷ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის გარემოება ქმნის ქმედების შემადგენლობას და წარმოადგენს მის დაწერილ (პოზიტიურ) ნიშანს, იმავე გარემოებას, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვერ მივიღებთ მხედველობაში პასუხისმგებლობის დამძიმებისა თუ შემსუბუქების დროს.

ყოფილა ნასამართლევნი, თუმცა მის მიერ ჩადენილი დანაშაული იმდენად მძიმე და შემზარავია, რომ სასჯელის შემსუბუქების არავითარი საფუძველი არ არსებობს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 ივნისის განაჩენს⁸ – მამა-შვილის რ. შ.-სა და ზ. შ.-ს მიმართ, სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილით (გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულება 14 წელი) და 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება იმის მიმართ, ვისაც არ შესრულება 14 წელი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გამო.⁹

განაჩენის თანახმად ირკვევა შემდეგი: 1966 წელს დაბადებულმა რ. შ.-მ არაერთხელ გააუპატიურა საკუთარი 13 წლის ქალიშვილი – ნ. შ. და ასევე მის მიმართ ჩაიდინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება გაუკუღმართებული ფორმით. იგივე ქმედებები 13 წლის არასრულწლოვანი დის მიმართ ჩაიდინა 1992 წელს დაბადებულმა ზ. შ.-მ. აღნიშნულის შედეგად, ნ. შ. დაორსულდა და გააჩინა ბავშვი. ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ ჩატარებული დნმ-ის კვლევით კი დადგინდა, რომ ბავშვის მამა იყო დაზარალებულ ნ. შ.-ს ძმა – ზ. შ.

2010 წლისთვის მოქმედი ნორმების თანახმად, დაზარალებულის მამას – რ. შ.-ს 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად მიესაჯა 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ასევე 18 წლის თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და რ. შ.-ს საბოლოო სასჯელად დაენიშნა 30 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ძმას, ზ. შ.-ს, ვისგანაც დაორსულდა 13 წლის არასრულწლოვანი, საბოლოო სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 13 წლით და 6 თვის ვადით, ვინაიდან იგი განაჩენის გამოტანის მომენტიდან იყო არასრულწლოვანი და მის მიმართ დანიშნული სასჯელები შემცირდა 1/4-ით. მართალია ამ საქმეში ბრალდებული არცერთი პირი არ ყოფილა წარსულში ნასამართლევნი, მაგრამ რთულია ამ გარემოებამ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საბოლოო სასჯელის შეფარდებაზე სასჯელის შემსუბუქების კუთხით.

⁸ განაჩენი ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

⁹ იგულისხმება 2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია.

ქართულ სისხლის სამართლის პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სსკ-ის ერთი და იმავე მუხლით ბრალდებულ პირებს სხვადასხვა ზომის სასჯელი ეკისრებათ. ამავე დროს სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელიდან არ ჩანს, თუ რატომ შეეფარდათ ასეთ დამნაშავეებს სასჯელის სხვადასხვა ზომა. *ალექსანდრე იაშვილი* სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე მიუთითებს, რომ „სასამართლო პრაქტიკაში საკასაციო საჩივრებში მსჯავრდებულს არაერთხელ დაუფიქსირებია პოზიცია, რომ დანაშაულში თანამონაწილე მეორე პირს შეეფარდა უფრო მსუბუქი სასჯელი, ხოლო მას – გაცილებით მძიმე.“¹⁰ იგი ამბობს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ერთსა და იმავე საქმეზე განსხვავებული სასჯელის დაკისრებას აქვს მყარი სამართლებრივი საფუძველი და ემყარება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, თუმცა განაჩენში თუ არ არის ასახული ეს საფუძველები და იგი დაუსაბუთებელია, გაურკვეველი რჩება, თუ რამ განაპირობა მოსამართლის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება.¹¹ ისრაელის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, გამოჩენილი იურისტი და წარსულში პრემიერ-მინისტრის აპარატის იურიდიული მრჩეველი *აარონ ბარაკი* ამბობს, რომ მოსამართლის არჩევანი განისაზღვრება მისი სამოსამართლო ფილოსოფიით, რომელიც არის მისი გამოცდილება და მსოფლმხედველობის პროდუქტი.¹²

იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადა, თავისთავად არ არის არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, მაგრამ როგორც ქ-ნი *ევა გოცირიძე* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარში აღნიშნავს: თუ მსჯავრდებულისთვის მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ვადა აშკარად უსამართლო და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის დისპროპორციულია, ადგილი აქვს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რაც არღვევს მე-

¹⁰ *იაშვილი, ალექსანდრე*, წიგნში – სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, გვ. 212, 213.

¹¹ *იაშვილი, ალექსანდრე*, წიგნში – სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, გვ. 212.

¹² *Aharon, Barak, Judicial Discretion, Yale University Press, 1999, p. 435.*

17 მუხლით დაცულ ადამიანის ღირსებას და სხვა უფლებებს¹³.¹⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „აშკარად არაპროპორციულ სასჯელებს, რომლებიც არ შეესაბამებიან დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, არა მარტო აქვთ მიმართება სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის კონსტიტუციურ აკრძალვასთან, არამედ არღვევენ კიდევ ამ კონსტიტუციურ დანაშაულს. მაშასადამე, „იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სასჯელის არაპროპორციულობაზე მსჯელობა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, სასჯელი დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ გადამეტებული.“¹⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს, რომ დაუშვებელია არათანაზომიერი სასჯელის გამოყენება. სასჯელი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და ბრალთან შესაბამისი და სამართლიანი უნდა იყოს. როგორც კ. კუბლაშვილი აღნიშნავს, დანაშაულის ჩამდენი პირი არ შეიძლება დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად, საშუალებად იქცეს. ყოვლად გაუმართლებელია ადამიანი მიზნის მიღწევის საშუალებას (ინსტრუმენტს)

¹³ გოცირიძე, ევა, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში – საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013. გვ. 107, 112.

¹⁴ აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც, რომელმაც 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში №1/4/592 „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ „თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადა, უვადო პატიმრობაც კი თავისთავად არ გულისხმობს არაადამიანურ, სასტიკ მოპყრობას და სასჯელს“, მაგრამ „თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, რიგ შემთხვევებში, ითვლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად“, მაგალითად დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაკისრებული აშკარად არაპროპორციული სასჯელი. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalae-beqa-wiqarishvili-saqartvelos-parlamentis-win-aagmdeg2.page>.

¹⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalae-beqa-wiqarishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page>.

წარმოადგენდეს, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს.¹⁶

III. დასკვნა

ზემოთ განხილული მაგალითები ცხადყოფს, თუ როდენ მნიშვნელოვანია სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინება სასჯელის შეფარდებისას და როდენ ოსტატობას მოითხოვს იგი მოსამართლის მხრიდან. ლორდმა *ლეინმა*, ბრიტანელმა მთავარმა მოსამართლემ გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება: „სასჯელის შეფარდება მდგომარეობს მთელი რიგი სრულიად შეურიგებელი ფაქტების შერიგების მცდელობაში.“ მანვე აღნიშნა, რომ სასჯელის შეფარდება არის ხელოვნება და არა მეცნიერება.¹⁷ სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქის ძირითად უფლებებში მკაცრი ჩარევა სასჯელის მეშვეობით მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდებისას უნდა მოხდეს უნდა მოხდეს სამართლიანობის, პროპორციულობისა და თანასწორობის ძირითად პრინციპებთან მიმართებით.¹⁸

თანამედროვე სასჯელის შეფარდების პრაქტიკის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები სა-

¹⁶ კუბლაშვილი, კონსტანტინე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში – საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, გვ. 83, 85.

¹⁷ Andrew, Ashworth, in What is Criminology? Edited by Mari Bosworth and Carolyn Hoyle, 1984, p. 337, 340.

კვლევა ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://books.google.ge/books?id=FivwDxt24goC&pg=PA340&lpg=PA340&dq=oxford+pilotal+studies+lord+lane+1984#v=onepage&q=oxford%20pilotal%20studies%20lord%20lane%201984&f=false>.

¹⁸ Teixeira, Adriano, Grundlagen einer tatproportionalen Strafzumessungslehre. Ein Beitrag unter besonderer Berücksichtigung des Problems der Rückfallschärfung, 2014, S. 55. Neumann, Ulfrid, in Festschrift für Günter Ellscheid, zum 65. Geburtstag, 1999, S. 124; Neumann, Ulfrid, Dimensionen der Strafgerechtigkeit, S. 118 ff.; Zipf, Heinz, Die Strafmassrevision: eine Strafrechtsdogmatische Untersuchung über den systematischen Aufbau der Strafmessung und ihrer Revisibilität im Erwachsenen und Jugendstrafrecht, S. 52. Schünemann, Bernd, Kriminalpolitik: Beiträge zum 1. Deutsch-Skandinavischen Strafrechtskolloquium, 27.-31. Mai 1985 in Freiburg, S. 224; Hauer, Judith, Geständnis und Absprache (Strafrechtliche Abhandlungen. Neue Folge), 2007, S. 162.

მართლის ნორმის შემფარდებლის მხრიდან შეფასებული იქნას არა მხოლოდ ცალ-ცალკე, არამედ ერთმანეთთან ორგანულ კავშირში და ყველა ის გარემოება, რაზედაც სსკ მიუთითებს სასჯელის შეფარდებისას – დამნაშავეს პიროვნების, მისი წარსული ცხოვრების, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი და სხვა გარემოებების სახით, იყოს მკაცრად ინდივიდუალიზებული და დასაბუთებული გონიერი დამკვირვებლის თვალში. ვინაიდან, სისხლის სამართალი როგორც *ultima ratio* ერევა მოქალაქის უფლებებში, აუცილებელია მისგან გამომდინარე შედეგში – სასჯელის შეფარდების სახით, დარწმუნდეს საზოგადოება, რომ პირისთვის დანიშნული სასჯელი სრულად შეესაბამება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მის პიროვნებას, არის მკაცრად პერსონიფიცირებული და უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების შესრულებას, უპირველეს ყოვლისა, პრევენციისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის სახით.

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის მეორე პროექტის საზაფხულო სკოლის ანგარიში, საქმიანობა, 2017 წელი (ბათუმი, საქართველო)*

სამეცნიერო თანამშრომლები *ნინო კუცია*, საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისი) / *პაულ ანდრეას გლატცი*, იანის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი

2017 წლის 11-16 სექტემბერს შავი ზღვის პირას მდებარე საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქში, ბათუმში, გაიმართა რიგით მეორე გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის საზაფხულო სკოლა. პროექტი და ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერა უკვე ამომწურავადაა წარმოდგენილი პროფესორ *ედვარდ შრამისა* და პროფესორ *გიორგი თუმანიშვილის* სტატიაში DGStZ-ის 2016 წლის მე-2 გამოცემაში, 36-37 გვერდებზე. საზაფხულო სკოლას წინ უსწრებდა პროექტის რიგით მეორე სამუშაო შეხვედრა იენასა და ბერლინში 2017 წლის მარტში. ამ შეხვედრის შესახებ ანგარიშის ნახვა შესაძლებელია DGStZ-ის 2017 წლის მე-2 გამოცემის 58-61 გვერდებზე.

საზაფხულო სკოლის მიზანი იყო ქართველი სტუდენტებისათვის გერმანული და ქართველი დოცენტების მიერ ჩატარებული ლექციების მეშვეობით ევროპისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებისა და პრობლემატური საკითხების გაცნობა და ამ თემების ირგვლივ განხილვების მოწყობა.

გერმანულ მხარეს წარმოადგენდნენ პროფესორი დოქ. *ედვარდ შრამი* (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), პროფესორი დოქ. *ბერნდ ჰაინრიხი* (თიუნინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი), პროფესორი დოქ. *მარტინ ჰეგერი* (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი), ასევე *იოჰანა ანტონი* და *პაულ ანდრეას გლატცი* – პროფესორ *შრამის* სამეცნიერო თანამშრომლები იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტიდან. ქართული მხრიდან საზაფხულო სკოლას ორგანიზებას უწევდნენ პროფესორი *გიორგი თუმანიშვილი* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფესორი დოქ. *ბაჩანა ჯიშკარიანი* (საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი) და *ხატია თანდილაშვილი* (პროფესორ *თუმანიშვილის* დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში). პროექტში ჩართულები იყვნენ ასევე პროფესორი დოქ. *მერაბ ტურავა* (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე) და პროფესორი დოქ. *ირაკლი დვალიძე* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა თვრამეტი ქართველი სტუდენტი და დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს უნივერსიტეტიდან და ქუთაისის უნივერსიტეტიდან. ღონისძიებები ჩატარდა ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

საზაფხულო სკოლა დაიწყო 2017 წლის 11 სექტემბერს ქართველ და გერმანელ მონაწილეთა შეხვედრით ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომათა დარბაზში გამართულ ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე.

12 სექტემბერს პირველი სალექციო დღე მიეძღვნა ევროპის სისხლის სამართალს. საზაფხულო სკოლა გახსნა პროფესორმა *ჰეგერმა* ლექციებით ევროპის სისხლის სამართლის პრინციპებზე, ევროპის კავშირის სისხლის სამართლის განმსაზღვრელ კომპეტენციებსა და ევროპულ *ne bis in idem*-ზე. ის შეეხო ორმხრივი აღიარების პრინციპის განვითარებასა და ევროპის კავშირის უფლებამოსილებას, მოითხოვოს ეროვნულ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანა. სტუდენტებთან ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ პროფესორმა *ჰეგერმა* აღნიშნა, რომ ევროპის პროკურატურის შექმნა ევროპული სამართლის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სადილის შემდეგ პროფესორმა *შრამმა* ისაუბრა ევროპის სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებზე. მოხსენების დასაწყისს პროფესორმა *შრამმა* სტუდენტებთან განიხილა, თუ რა მოლოდინები და იმედები ჰქონდათ მათ საქართველოს ევროპის კავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ წარმოდგენილ იქნა OLAF-ის, ევროპოლის, ევროიუსტის, საერთო სა-

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა *ლადო სირდაძემ*.

გამოძიებო ჯგუფებისა და ევროპის იუსტიციის ქსელის ფუნქციები, უფლებამოსილებები და საქმიანობის სფეროები. ამის შემდეგ პროფესორი შრამი შეეხო ევროპული პროკურატურის მოწყობის გეგმებსა და არსებულ მდგომარეობას.

13 სექტემბერს გაგრძელდა განხილვები ევროპულ სისხლის სამართალთან დაკავშირებით. პროფესორმა ჰეგერმა შესავალში თავდაპირველად განიხილა დაკავების ევროპული ორდერის განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკური დისკუსიები. მან ხაზი გაუსვა, რომ დაკავების ევროპული ორდერის მეშვეობით იუსტიციურმა თანამშრომლობამ პოლიტიკურიდან სამართლებრივ ქრილში გადაინაცვლა. ამის შემდეგ პროფესორმა შრამმა ისაუბრა ევროპულ საგამოძიებო განკარგულებაზე და მის დროულ ასახვაზე გერმანულ კანონმდებლობაში. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, თუ რამდენად ავრცობს ევროპული საგამოძიებო განკარგულება დაკავების ევროპულ ორდერს.

ნაშუადღევს პროფესორმა ჰაინრიხმა დაიწყო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებულ ლექციათა ბლოკი. პირველ ნაწილში ის შეეხო კონვენციის განვითარებას, ევროპის საბჭოს საქმიანობასა და კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებულ წამების აკრძალვას, რომელიც ამომწურავად იქნა განხილული სტუდენტებთან ერთად მრავალი მაგალითის საფუძველზე.

14 სექტემბერს პროფესორმა ჰაინრიხმა წარმოადგინა მოხსენება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებით. მან დეტალურად ისაუბრა კონვენციის მე-5 მუხლზე (თავისუფლების უფლება), მე-6 მუხლზე (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-7 მუხლიდან გამომდინარე კანონიერების პრინციპზე. ბოლოს კი პროფესორი ჰაინრიხი შეეხო კონვენციის მე-19-51-ე მუხლებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წარმოაჩინა, როგორც ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კონვენციის სისხლის სამართლის პროცესუალური თვალსაზრისით განხორციელებას.

ნაშუადღევს პროფესორმა დვალიძემ ისაუბრა ქართულ მატერიალურ და საპროცესო სისხლის სამართალზე არსებულ ევროპულ გავლენაზე. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართული მატერიალური სისხლის სამართლისათვის არსებულ მოთხოვნებს და დეტალურად განიხილა მათი

ასახვა ქართულ სამართალში. პროფესორმა დვალიძემ ლექცია განავრცო საქართველოს 2005 და 2007 წლების სისხლის სამართლის რეფორმის შემდეგ არსებული სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი დეტალური მაგალითებით.

15 სექტემბერს საზაფხულო სკოლის ლექციათა ბლოკი დღეს, ქალბატონმა ანტონიმ და პროფესორმა ტურავამ ისაუბრეს საერთაშორისო სისხლის სამართალზე. ქალბატონმა ანტონიმ წარმოადგინა საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები და ძირითადი პრინციპები, რა დროსაც მან აჩვენა მისი ისტორიული განვითარება უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედების საფუძველზე, წარმოადგინა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (International Criminal Court – ICC) საქმიანობა და განიხილა ICC-ისა და სახელმწიფოს შიდა სასამართლოების განსჯადობის პრობლემები. ქალბატონმა ანტონიმ ამის შემდეგ უხელმძღვანელა ICC-ის დასრულებულ პროცესებსა და თანამედროვე ცხელ წერტილებთან დაკავშირებულ მრავლისმომცველ დისკუსიას.

პროფესორმა ტურავამ მოხსენების პირველი ნაწილი დაუთმო საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებს, აგრეთვე საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს. მან ხაზი გაუსვა საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის სამართლის დამოუკიდებელ დარგად გამოყოფის მნიშვნელობას. მოხსენების მეორე ნაწილში პროფესორმა ტურავამ ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა და რომის სტატუტზე. მან დეტალურად განიხილა იმ დანაშაულთა თავისებურებები, რომლებიც, რომის სტატუტის მე-5 მუხლის მიხედვით, განეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას. მოხსენების ბოლო ნაწილი ჩატარდა დისკუსიის ფორმატში, რა დროსაც განხილულ იქნა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის სამართლებრივი საკითხები.

16 სექტემბერს გაიმართა საზაფხულო სკოლის ოფიციალური დახურვის ცერემონიალი, რომელიც გაშუქდა სატელევიზო ჯგუფებისა და ფოტოგრაფების მიერ. დახურვის ცერემონიალისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ ხაზი გაუსვა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტისა და საზაფხულო სკოლის მნიშვნელობას. ამასთანავე

პროფესორმა *შრამმა* განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საზაფხულო სკოლის მონაწილეებს, ორგანიზატორებსა და დოცენტებს გამორჩეული ჩართულობისა და ნაყოფიერი განხილვებისთვის. საზაფხულო სკოლის მონაწილეებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები და მიეცათ შესაძლებლობა, შეეფასებინათ საზაფხულო სკოლა. სალამოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მინვეციით გამართული საერთო ვახშმით დასრულდა საზაფხულო სკოლა.

საზაფხულო სკოლამ როგორც შინაარსობრივი, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით წარმატებულად ჩაიარა. მისი მეშვეობით წარმოდგენილ იქნა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მჭიდრო კავშირი ქართველ სტუდენტებთან. ბათუმმა განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა მსგავსი პროექტების ჩასატარებლად. ქალაქის საერთაშორისო ატმოსფერომ, სტუმართმოყვარე ადამიანებმა და საკონსტიტუციო სასამართლოში შექმნილმა შესანიშნავმა გარემომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საზაფხულო სკოლაში. გერმანელ მონაწილეებს ბათუმის ღირსშესანიშნაობები გააცნო ბატონმა *ელიზბარ ნიჟარაძემ*, თიუბინგენის უნივერსიტეტში პროფესორ *ჰაინრიხის* სტუდენტმა, რომელიც ბათუმში საზაფხულო სკოლის პერიოდში შევებულებას ატარებდა. გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ასევე ქალბატონ *ხატია თანდილაშვილსა* და პროფესორ დოქ. *ჯიშკარიანს*, რომლებმაც ადგილზე იზრუნეს საზაფხულო სკოლის შეუფერხებლად წარმართვაზე.

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის შემდეგი შეხვედრა 2018 წლის 12-16 მარტს გაიმართა თიუბინგენსა და სტრასბურგში.